

„მოამბე“

საერთაშორისო რეჟირირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №26, 2017 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- მთავარი რედაქტორი და სარე-
დაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

სარედაქციო კოლეგია მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზაბე, ბაბუნაშვილი
გიორგი, ბაბუნაშვილი ანზორი, ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი,
ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარბიზი, გომოზია რევაზი, გველესიანი
მერაბი, გეგუაია გაბრი, დანელია თამაზი, დათაშვილი ვახტანგი, ელიაშვილი
ლია, იზორია მარინა, კუნჭულია თამაზი, კურტანიძე დავითი, კუჭუხიძე
რომანი, კვალაშვილი ვაჟა, კვაშილავა ალექსანდრე, კობახიძე თამაზი,
ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლოპხანიძე გივი, ლეკაშვილი
ეკა, მაღაშვილი გიორგი, მენსინა ნიკოზი(იაშა), მეჩვაბიშვილი ელგუჯა,
ნადირაშვილი ბაიოზი, ნარმანი დავითი, ნადარაია ნუგზარი, პაიჭაძე
ნუგზარი, როკატლიშვილი მიხეილი, სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), უბრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლეონი,
ქეშელაშვილი ომარი, ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, ჩიხლაძე
ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხაღური ნოდარი, ხარაბაძე
ელენე, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბ-
ლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაშვილი
ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხ-
ანოვი ესტერბერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), ზალენინი ინგა (ესტონეთი),
ვდოვინკო ნატალია (უკრაინა), მისანილ ვარჩოლა (სლოვაკეთი).

შეიქმება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №26, 2017

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Economic Science, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI, BABUKHADIA ANZORI, BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERA-BI, GECHBAIA BADRI, DATASHVILI VAXTANGI, DANELIA TAMAZI, ELIAVA LIA, IZORIA MARINA, KUNCHULIA TAMAZI, KURTANIDZE DAVITI, KUCHUKHIDZE RO-MANI, KVALIASHVILI VAJA, KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBADZE TAMAZI, LAB-ARTKHAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALAKHSHIA GIORGI, MESKHIA IAKOBI(IASHA), MEQVABISHVILI ELGUJA, NADI-RASHVILI GAIOZI, NARMANIA DAVITI, NADARIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI, SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KHARCHAVA LOIDI, KHESHELASHVI-LI OMARI, KHUFUNIA GURAMI, KHORGHANASHVILI LARISA, CHIXLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, XADURI NODARI, KHARABADZE ELENE, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI PHIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINE), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAI-DJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUXANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MI-CHAL (SLOVAKIA).

შინაარსი

1. ნაირა ბალახვარიძე	5
ეკოლოგიური კონტროლი და განსაკუთრებულ სიტუაციათა ღონისძიებების ეფექტიანობა	
2. მაია კახანაძე, ირინე მამალაძე	9
საქართველოს ალკოჰოლური კომპანიების საქმიანობა და მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში	
3. მანანა მჭედლიშვილი	14
მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებული ნეგატიური მოვლენების გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე და მისი სტატისტიკური ანალიზი	
4. გოდერძი ტყეშელაშვილი, სალომე ყიფიანი, ლაშა როსვანიძე ..	20
საქართველოს მრეწველობა და მისი დაკრედიტების პრობლემები	
5. ნინო გომართელი, ნინო ზაალიშვილი	25
საქართველო ევროპულ სივრცეში - გზა ევროინტეგრაციისკენ	
6. ნინო ზაალიშვილი	28
კონფლიქტის, როგორც სოციალური მოვლენის არსის ბარკვევისთვის	
7. მაგია ჭუმბურიძე, გიორგი ჭუმბურიძე	32
საგაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიური ძალაუფლების შესახებ	
8. მადეა მჭედლიძე	41
მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაცია ტურიზმში	
9. МАРИНА ИЗОРИЯ	44
Геополитическая схватка в Сирии и траектория курдского вопроса	
10. ГУРАМ МАРХУЛИЯ	51
К вопросу о моделях управления конфликтов	
11. ლარისა თაკალანძე	37
კორპორაციული მენეჯმენტი საქართველოში	

მილოცვა

მაგია ჭუმბურიძე - 70	58
-----------------------------------	-----------

CONTENTS

1. NAIRA GALAKHVARIDZE	5
Regional Economic Outlook	
2. MAIA KAPANADZE, IRINE MAMALADZE	9
Activities of the alcohol companies and their role in economic development of Georgia	
3. MANANA MCHEDLISHVILI	14
World Economics Negative Events Impact on Georgian Banking Sector and Its Statistical Analysis	
4. GODERZI TKESHELASHVILI, SALOME KIPIANI, LASHA ROKHVADZE	20
Industry and its lending problems in Georgia	
5. NINO GOMARTELI, NINO ZAALISHVILI	25
Georgia in European space – route to the European Union	
6. NINO ZAALISHVILI	28
Conflict as for clarifying social phenomenon	
7. MAMIA CHUMBURIDZE, GIORGI CHUMBURIDZE	32
Market concentration and monopoly power	
8. MEDEA MCHEDLIDZE,	41
The realization of the principles of sustainable development in tourism	
9. MARINA IZORIA	44
Geopolitical fight in Syria and the trajectory of the Kurdish issue	
10. GURAM MARKHULIA	51
On the issue of conflict management models	
8. LARISA TAKALANDZE	55
On the Issues of Corporative Management in Georgia	

CONGRATS

MAMIA CHUMBURIDZE - 70	58
-------------------------------------	-----------

ეკოლოგიური კონტროლი და განსაკუთრებულ სიტუაციათა ლონისძიებების ეფექტიანობა

ნაირა გალახვარიძე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკოლოგიური დისბალანსის ლიკვიდაცია და ეკოლოგიური წონასწორობისაკენ სწრაფვა ნებისმიერი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა.

ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული უნდა იყოს ეკოლოგიური პროგრამა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო-ნორმატიულ აქტების სისტემა, რომელიც უნდა მოიცავდეს სტანდარტებისა და ნორმატივების შემუშავების დადგენისა და კონტროლის სხვადასხვა მექანიზმს.

გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპია რისკების შემცირება, რომლის თანახმადაც საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

რისკების შემცირებისათვის სისტემატიურად უნდა ხორციელდებოდეს ინტეგრირებული კონტროლის სისტემა, რომელიც გულისხმობს გარემოს დაბინძურების რეგულირების ისეთ სისტემას, რომელიც ეფუძნება დაბინძურების აკუმულირების უნარის მქონე გარემოს ძირითადი კომპონენტების - ნიადაგის, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინტეგრირებულ (კომპლექსურ) კონტროლს.

ეკოლოგიური შემონმების ქვეშ იგულისხმება მოქმედი ობიექტის შეფასება, განსხვავებით პროექტის რეალიზაციის დაწყებამდე შეფასებისა (წინმსწრები შეფასება).

ეკოლოგიური კონტროლი ითვალისწინებს ეკოლოგიური პოზიციით სანარმოს ხელმძღვანელობისა და მოწყობილობის მუშაობის სისტემატურ, დოკუმენტურად დამტკიცებულ ობიექტურ შეფასებას და აქვს კონტროლის სისტემის შექმნის გზით გარემოს დაცვის უზრუნველყოფის, ფირმაში გარემოს დაცვის სფეროში ეკოლოგიური კანონმდებლობის მოთხოვნით მიღებული პოლიტიკის შესაბამისი სისტემის შექმნის მიზანი.

ეკოლოგიური შემონმება თავის თავში მოიცავს სამ ეტაპს:

- ლონისძიებები რევიზიის ჩატარებამდე;

- ლონისძიებები სანარმოს ტერიტორიაზე (შემონმების ჩატარება);

- ლონისძიებები რევიზიის შედეგებზე.

რევიზიის ჩატარებამდე განხორციელებულ ლონისძიებებში ვარაუდობენ რევიზიის ობიექტების შერჩევას. მათგან ძირითადს წარმოადგენს:

- ეკოლოგიური პოლიტიკა, მოვალეობების განაწილება და ორგანიზაცია;

- დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემა;

- ეკოლოგიური სწავლებისა და კადრების მომზადების სისტემა;

- მარეგულირებელი ორგანოებისა და საზოგადოების ურთიერთობები;

- ეკოლოგიური კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა;

- განსაკუთრებულ შემთხვევების სიტუაციებში ლონისძიებების დაგეგმვა;

- ნარჩენების ლიკვიდაციისა და განმენდის სისტემები;

- რესურსების დაზოგვა;

- სათანადო სახით ტერიტორიის დაცვა;

- ნიადაგის რაციონალური გამოყენება.

ასევე ამავე ეტაპზე ფორმირდება სამუშაო ჯგუფი ეკოლოგიურ აუდიტში. ბევრ მსხვილ კომპანიებში ეკოლოგიური რევიზიის მოვალეობები დაკისრებული აქვს განყოფილებების შემადგენლობის სპეციალურ ქვედანაყოფს, რომელიც ასევე ახორციელებს ტექნიკის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის ნორმების შესრულების შეფასებას.

შემონმების განხორციელების მეთოდები და მეთოდოლოგია შეიძლება ვარაუდობდეს სანარმობში სანახავად მისვლას, (ნახვას); ანკეტების გამოყენებას, გასაუბრებას, საბუთებთან მუშაობას და სხვა.

ეკოლოგიური რევიზიის საბოლოო ანგარიშის მომზადებისა და დამტკიცების შემდეგ დგება ლონისძიებების გეგმა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობენ წარმომადგენლები შემონმების ქვედანაყოფიდან და მონვეული სპეციალისტები.

ავარიების აცილების სისტემის ძირითად მხარეს წარმოადგენს:

1. იმ დანადგარების გამოვლენა,

რომელთაგანაც მომდინარეობს მნიშვნელოვანი საფრთხე; უფრო საშიში ქიმიკატები, რომელთა არსებობა პოტენციურად საშიში დანადგარის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს:

- აალებადი გაზები და სითხეები;
- განსაკუთრებულად აალებადი ნივთიერებები: წყალბადი, ეთილენის ჟანგი;
- განსაკუთრებულად ფეთქებადი ნივთიერებები: ამიაკური გვარჯილა; ნიტროგლიცერინი;
- განსაკუთრებით შხამიანი ნივთიერებები: აკრილონიტრილი, ამიაკი, ქლორი, გოგირდწყალბადი, ციანიტის წყალბადი, გოგირდნახშირბადი, ფტორის წყალბადი, ქლორის წყალბადი, გოგირდის ანჰიდრიდი;
- უკიდურესად შხამიანი ნივთიერებები: ფოსგენი, მეთილის ეფირი,

2. საფრთხის ხარისხის შეფასება. ამისათვის შეიძლება დაგვეჭიროდეს ავარიების ალბათობის შეფასება, რომლითაც ვლინდება ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობაში შესაძლებელი სიტუაციები და განმსაზღვრელი პარამეტრები, რომლებიც ავარიის შემდეგ პირველ რიგში უნდა იყოს შემოწმებული;

3. უსაფრთხო ექსპლუატაცია, რომელშიც იგულისხმება სარემონტო პროფილაქტიკური სამუშაოები, რეკონსტრუქციები, პესონალის მომზადება და შერჩევა;

4. დაგეგმვა - უკიდურესი განსაკუთრებული სიტუაციის შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ტარდება დიდი ავარიების დაუშვებლობის მიზნით. ღონისძიებების დაგეგმვა განსაკუთრებული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში თავის მიზნად აყენებს შედეგების მამტაბის შემცირებას.

დაგეგმილ ღონისძიებებს ყოფენ ორ ჯგუფად:

ა) სანარმოს ტერიტორიაზე ავარიის გასათვალისწინებელი შედეგები;

ბ) მომიჯნავე ტერიტორიისათვის გასათვალისწინებელი შედეგები.

განსაკუთრებულ სიტუაციებში ღონისძიებების ეფექტიანობა დამოკიდებულია შემდეგზე:

- განსაკუთრებულ სიტუაციებში მოქმედების გეგმების დამუშავება, რომლებიც გაცნობილ უნდა იყოს ყველა იმ პირისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ წარმოებასთან;

- მოქმედების გეგმაში:

ა) მკაფიოდ გარკვევით განაწილებულია მოვალეობები;

ბ) გარკვევით განისაზღვრება ადგილობრივ ხელისუფლებასთან კავშირის საშუალებები;

გ) მკაფიოდაა განწერილი ყველა აუცილებელი ღონისძიებები;

დ) დგინდება კავშირები სხვა რესურსებსა და გეგმებთან;

ე) მითითებულია ეკოლოგიური კუთხით უფრო სუსტი უბნები.

- ძირითადი მომუშავენი ეცნობიან გეგმის მდგომარეობას;

- განსაკუთრებული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს შესაბამისი ტექნიკა და სპეციალისტები;

- აუცილებელი მოწყობილობები და ტექნიკა ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი;

- არსებობს მოწყობილობისა და ტექნიკის გამოყენებაზე პერსონალის მომზადების დამუშავებული პროგრამა, რომელიც განკუთვნილია განსაკუთრებული სიტუაციების აცილებისათვის;

- ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის სასწავლო საქმიანობის გეგმა.

საშიში წარმოებების ინსპექცია გულისხმობს რეგულარული შემოწმებების ჩატარებას უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების დადგენისათვის.

გარემოსდაცვითი აუდიტი წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტების მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის წარმოების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილის ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტიანობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ სანარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებელი ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და ნარჩენების მინიმუმაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით.

ამრიგად, მიზანშეწონილია გაძლიერდეს და ქმედითუნარიანი გახდეს იმ ორგანოების მუშაობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბუნების, მისი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოების საკითხებს. ისინი ვალდებული არიან კონტროლი განახორციელონ ამ დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამაზ მალაკელიძე, ეკონომიკური უსაფრთხოება, თბილისი 2002.
2. В.В. Глухов, Т. П. Некрасова Экономические основы экологии, 3-е изданил, Питер, 2003.
3. А.В. Анисимов Экологический менеджмент, „Феникс“ 2009.
4. Фомичева Е. В. Экономика природопользования: Учебник- М: Изд. дом „даликов и к“ 2004.
5. Тимофеева С.С . Экологический менеджмент,- Ростов Н /Д Феникс, 2004

რეზიუმე

ეკოლოგიური კონტროლი (რევიზია) ითვალისწინებს ეკოლოგიური პოზიციით სანარმოს ხელმძღვანელობისა და მონეობილობის მუშაობის სისტემატურ, დოკუმენტურად დამტკიცებულ ობიექტურ შეფასებას და აქვს კონტროლის სისტემის შექმნით გარემოს დაცვის უზრუნველყოფის, ფირმაში გარემოს დაცვის სფეროში ეკოლოგიური კანონმდებლობის მოთხოვნით მიღებული პოლიტიკის შესაბამისი სისტემის შექმნის მიზანი.

ეკოლოგიური შემონმება თავის თავში მოიცავს სამ ეტაპს:

- ღონისძიებები რევიზიის ჩატარებამდე;
- ღონისძიებები სანარმოს ტერიტორიაზე (შემონმების ჩატარება);
- ღონისძიებები რევიზიის შედეგებზე.

განსაკუთრებულ სიტუაციებში ღონისძიებების ეფექტიანობა დამოკიდებულია შემდეგზე: განსაკუთრებულ სიტუაციებში მოქმედების გეგმების დამუშავება, რომლებიც გაცნობილ უნდა იყოს ყველა იმ პირისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მოცემულ ნარმოებასთან;

- მოქმედების გეგმაში:

- ა) მკაფიოდ, გარკვევით განაწილებულია მოვალეობები;
- ბ) გარკვევით განისაზღვრება ადგილობრივ ხელისუფლებასთან კავშირის საშუალებები;
- გ) მკაფიოდაა განერილი ყველა აუცილებელი ღონისძიებები;
- დ) დგინდება სხვა კავშირები რესურსებსა და გეგმებთან;
- ე) მითითებულია ეკოლოგიური კუთხით უფრო სუსტი უბნები.

- ძირითადი მომუშავენი ეცნობიან გეგმის მდგომარეობას;

- განსაკუთრებული სიტუაციის ნარმოქმნის შემთხვევაში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს შესაბამისი ტექნიკა და სპეციალისტები;

- აუცილებელი მონეობილობები და ტექნიკა ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი;

- არსებობს მონეობილობისა და ტექნიკის გამოყენებაზე პერსონალის მომზადების დამუშავებული პროგრამა, რომელიც განკუთვნილია განსაკუთრებული სიტუაციების აცილებისათვის;

- ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის სასწავლო საქმიანობის გეგმა.

SUMMARY

Naira Galakhvaridze
GTU Professor

Environmental Control (revised) provides for the environmental industry leadership position and the device to operate a systematic, documented and objective assessment of a control system by establishing the goal of ensuring environmental protection. Firm in the field of environmental protection of the ecological legislation of the appropriate policy framework.

Environmental testing involves three stages:

- An audit of the measures before;
- Events in the enterprise area (inspection);
- Revision of the results.

In special situations, depending on the efficacy of the following:

In special situations, action plans and to be acquainted with all the persons who are related to the production;

- Action Plan:

A) clearly legible distributed movaliobebi;

B) clearly defined by the local authorities and means of communication;

C) obliges all the unavoidable events;

D) links to other resources and plans are established;

E) There are indicated terms of ecological weaker stations.

- Workers are introduced to the basic conditions of the plan;
- The particular situation occurs, the constantly present the appropriate equipment and specialists;
- The necessary equipment and appliances must be easily accessible;
- There are facilities and equipment used in the preparation of processed program, which is designed to prevent emergency situations;
- Consequences of the accident for likvidatsiebisa plan learning activities.

საქართველოს ალკოჰოლური კომპანიების საქმიანობა და მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში

მაია კაპანაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სტუ ასოც. პროფესორი

ირინე მამალაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სტუ ასოც. პროფესორი

კომპანიები (სანარმოები) ხშირად მოიაზრება, როგორც ქვეყნის აქტივი, როგორც ეკონომიკის განვითარების წინაპირობა.

წარმატებული კომპანიები ცვლიან ჩვენი ცხოვრების წესს და სამუშაო ჩვეულებას. მათი წარმატებული ნაბიჯები აუმჯობესებს ჩვენი ცხოვრების ხარისხს. გარდა იმისა, რომ კომპანიები ქმნიან სიმდიდრეს თავიანთ სამეწარმეო სფეროში, ასევე ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების გაჩენას და ქმნიან ხელსაყრელ პირობებს საზოგადოების განვითარებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

რა არის მიზეზი, რის გამოც კომპანიების საქმიანობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის?!

საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან ერთად კომპანიები ხელს უწყობენ დასაქმებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რასაც ჯაჭვური შედეგი მოჰყვება ეკონომიკაში. ასევე გამოიწვევს სხვა დარგების და მთლიანად ეკონომიკის განვითარებას.

კომპანიების კაპიტალდაბანდებები ქმნიან ახალ სიმდიდრეს. არსებული ბიზნესი უკვე დამკვიდრებულ ბაზარზე შესაძლოა უახლოვდებოდეს შემოსავლიანობის ზედა წერს, ხოლო ახალი შემოთავაზება, საქონელი თუ ტექნოლოგია ქმნიან ახალ ბაზრებსა და ახალ დოვლათს.

გამომდინარე აქედან, ჯაჭვური რეაქციის თეორიის თანახმად, დასაქმების და გამოუმუშავების ზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას უფრო მაღალი საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე, ასევე გაზრდილი სახელმწიფო ხრჯების გზით. გაზრდილი შემოსავლები სახელმწიფოს მიერ მოხმარდება ინვესტირებას სხვა პრიორიტეტულ დარგებში, მაგალითად, ადამიანური რესურსების გასანვითარებლად.

მიუხედავად კომპანიის სიდიდისა, მნიშ-

ვნელოვანია მათი წვლილი ეკონომიკაში. კვლევებმა აჩვენა, რომ მცირე ბიზნესი შესაძლოა არ იყოს ისეთი ეფექტური მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში, როგორც დიდი კომპანიები. რაც შეეხება ინოვაციურობას, მცირე კომპანიები ისეთივე ეფექტურუნარიანები არიან სიახლის ძიებაში, როგორც დიდი კომპანიები. ორივე მათგანის საქმიანობა ამ კუთხით ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ეკონომიკის განვითარების სტრატეგია, რომელიც კონცენტრირებულია რომელიმე ერთი მიმართულების ბიზნესსა თუ დარგზე, ძალიან დიდი რისკის მატარებელია.

ძალზედ მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკის გატარება წარმატების მიღწევაში. პრაქტიკამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ აუცილებელია მიმზიდველი და პოზიტიური ბიზნეს და საკანონდებლო გარემოს შექმნა სახელმწიფოს მხრიდან და ბაზარი თავად გამოაჩვენებს წარმატებულ ბიზნესს წარუმატებლისგან მიუხედავად კომპანიის სიდიდისა. ბევრმა ქვეყანამ მიაღწია წარმატებას ასეთი გარემოს შექმნაში.

როგორია ქართველი კომპანიების როლი ქვეყნის ეკონომიკაში?

რამდენადაც საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ და წარმომადგენლობით დარგს ალკოჰოლის ბაზარი წარმოადგენს, საინტერესოა ამ დარგის კომპანიების როლი ეკონომიკაში.

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი ისტორია აკავშირებს, რასაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფაქტი ადასტურებს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული, ათასწლეულობით დათარიღებული მრავალი ექსპონატი.

ქართველი კაცი მევენახეობასა და მეღვინეობას უძველესი დროიდან ეწევა - ამ პერიოდში შეიქმნა ვაზისა და ღვინის მდიდარი კულტურა და დიდი ჯიშური მრა-

1 <http://www.investopedia.com/articles/personal-finance/101414/why-entrepreneurs-are-important-economy.asp>

ვალფეროვნება, განხორციელდა ველური ვაზის გაკულტურება, დამუშავდა ვენახის გაშენებისა და მოვლის სისტემები, დაიხვეწა საღვინე ჭურჭელი და მოხდა ქვევრის კულტურის დამკვიდრება, შემუშავდა ღვინის დაყენების კახური და იმერული ტექნოლოგიები. ღვინომ შეიძინა საკრალური დატვირთვა და გადაიქცა ქართველი ერის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ ბაზისად საუკუნეების განმავლობაში.

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყო და ამ ტრადიციას დღემდე ინარჩუნებენ. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (ღ) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ახელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

ღვინისა და ბრენდის ექსპორტის 2015 წლის მონაცემები:

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 46 ქვეყანაში ექსპორტირებულია 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 98 102 614 აშშ დოლარს შეადგენს. წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი მატება შენარჩუნდა წლის ბოლომდე ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე – ჩინეთში, სადაც ქართული ღვინის ექსპორტის ზრდამ 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი, ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნის ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 3% (1 600 302 ბოთლი), რომელიც ქართული ღვინის სტაბილურ, მზრდ ბაზარს წარმოადგენს. ასევე, ლიტვა-4% (658 66), ესტონეთი-54% (506 124), ნიდერლანდები-58% (51 432), საფრანგეთი-190% (37 956), დანია-100% (34 840) და სხვა. ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორცაა აშშ-31% (248 075), კანადა-48% (157 836), იაპონია-5% (138 290), ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთ-

ში-79% (185 514), ისრაელში-48% (35 820), კორეაში-37% (24 054) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი-18 308 177, ყაზახეთი-5 195 949, უკრაინა -3 412 453, ჩინეთი-2 672 154 და პოლონეთი-1 600 302 ბოთლი. მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკური ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში – რუსეთსა (-51%) და უკრაინაში (-56%) ექსპორტის მკვეთრი კლება აისახა წლიური ექსპორტის ჯამურ მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ითაა შემცირებული. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის საერთო მაჩვენებელი შემცირებულია მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რამდენიმე წლიანი ემბარგოს შემდეგ გაიხსნა რუსეთის ბაზარი და ამ ქვეყანაში ექსპორტმა პიკს მიაღწია. მაგალითისთვის 2012 წელს ექსპორტირებული იყო მხოლოდ 23,3 მლნ ბოთლი ღვინო, 2011-19,0 მლნ ბოთლი, 2010-14,8 მლნ ბოთლი, 2009-10,9 მლნ ბოთლი. ამასთან ერთად, 2015 წელს საქართველოდან 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 266 755 ბოთლი (0,5ლ) ბრენდი, რაც თანხაში 18,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს. საქართველოდან მსოფლიოს 7 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8,9 მლნ ლიტრი საბრენდე სპირტი, რაც თანხაში 26,5 მლნ აშშ დოლარია. გასულ წელს მსოფლიოს 21 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 118 890 (0,5 ლ) ჭაჭა. ეს კი თანხაში 466,3 ათასი აშშ დოლარია.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირიტს ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 2015 წელს 146,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

მაინც რა მნიშვნელობა აქვს ქართული ალკოჰოლის მწარმოებელი და განსაკუთრებით, ღვინის კომპანიების წარმატებას ქვეყნისთვის?

როგორც ისტორიული ფასეულობა, ქართული ღვინის წარმოება ქვეყნის იმიჯის მაცალიებელია საქართველოში. ის არის დარგი, რომელიც წარმოაჩენს ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს და ჩვენს ქვეყანას გააცნობს დანარჩენ სამყაროს. ქვეყნის ცნობადობის ამაღლება გამოიწვევს დაინტერესების ზრდას უცხოელებში და გაიზრდება ტურისტული ნაკადები, ეს უკანასკნელი ნიშნავს დამატებითი ფულადი

ნაკადების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკაში.

კომპანიების წარმატებული საქმიანობა ნიშნავს მეტი სამუშაო ადგილის შეთავაზებას მოსახლეობისთვის. არა მხოლოდ მეტი სამუშაო ადგილის შექმნა არის მნიშვნელოვანი, არამედ სტაბილურობა და სამუშაოს ხარისხიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. კომპანიის წარმატება ნიშნავს სწორედ სტაბილურობას უკვე დასაქმებული კადრისთვის და რაც მთავარია, შესაბამის ანაზღაურებას და სამუშაო პირობებს. ამდენად, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში.

გადასახადები – სახელმწიფო ბიუჯეტის შემავსებელი მთავარი კომპონენტი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტები იხდიან. რა თქმა უნდა ყველაზე მაშტაბური სწორედ იურიდიული კომპანიების შენატანია ბიუჯეტში, მათ შორის ღვინის კომპანიები ერთ-ერთი იმ გადამხდელთაგანია, რომელიც ქვეყანაში მოქმედ 5-ვე სახელმწიფო გადასახადს იხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ. რაც უფრო მაღალი იქნება მათი კაპიტალბრუნვა და მომგებიანობა, მით უფრო მაღალი იქნება საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში.

ქართული ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის გაყიდვას ახორციელებენ საზღვარგარეთ, კიდევ ერთი კუთხით მოქმედებენ დადებითად ქვეყნის ეკონომიკაზე – ეს არის საგადახდებლო ბალანსი. მხოლოდ 2015 წელს ქართული ალკოჰოლური საქონლის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა 146,5¹ მლნ აშშ დოლარი (373,4 მლნ ლარი) შეადგინა. ეს მაჩვენებელი იწვევს წმინდა ექსპორტის ზრდას და ქვეყნის საგადახდებლო პოზიციის გაუმჯობესებას სხვა ქვეყნების მიმართ. ასევე ფულადი ნაკადის შემოდინება დადებითად მოქმედებს სავალუტო კურსზე და ადგილობრივი ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, მეტი წარმატება ქართული პროდუქციის და მეტი საექსპორტო შემოსავლები კიდევ

¹ <http://georgianwine.gov.ge/>

უფრო დადებითად აისახება ქართულ ვალუტასა და საგადახდებლო ბალანსზე.

ასევე უნდა აღვნიშნოთ ის სოციალური სარგებელი, რაც წარმატებულ კომპანიას მოაქვს თითოეული მოქალაქისთვის. სოციალური პასუხისმგებლობა, რომელსაც კომპანიები იჩენენ საზოგადოების მიმართ, მისასალმებელია, ცალსახა კავშირი არსებობს სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების დონესა და ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების დონეს შორის. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეკონომიკურ კლიმატს ორმაგი ეფექტი აქვს. პირველი – წარმატებულ კომპანიებს, ცხადია, შესაძლებლობა აქვთ, რომ მეტი დახარჯონ ღარიბებზე, ქველმოქმედებასა და საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმიანობაზე; მეორე – დინამიურად განვითარებადი, წარმატებული კომპანია უფრო მეტად ზრუნავს საკუთარ საზოგადოებრივ იმიჯზე, სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობაზე. როგორც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევამ აჩვენა, დღეს მსხვილი ბიზნესის მენეჯერთა დამოკიდებულება ასეზული ბიზნესგარემოს, მისი განვითარების ტენდენციებისა და მიმდინარე ცვლილებების მიმართ საკმაოდ დადებითია. ასევე პოზიტიურია მათი სამომავლო მოლოდინები, რაც სხვა ხელშემწყობი ფაქტორების არსებობის პირობებში, გარკვეულწილად, კეთილმყოფელ ფონს უნდა ქმნიდეს, რათა ბიზნეს კომპანიებმა ნებაყოფლობით აიღონ საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და მეტი საზოგადოებრივი ფუნქციები. “თუ კომპანიაში არსებობს ხედვა, რომ ის არის გაცილებით მეტი, ვიდრე “ბიზნეს ერთეული”, ეს მისასალმებელია და სასარგებლოა ქვეყნისთვის. ლიდერმა კომპანიებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ქვეყნის სოციალურ თუ ეკონომიკურ განვითარებაში, რაც უფრო მეტი ძლიერი კომპანია არსებობს ქვეყანაში, მით უფრო უკეთესია წინსვლის ტემპი და ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვან ჰორნი ჯ., მაჰოვიჩი ჯ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მე-12 გამოცემა, “საქართველოს მაცნე”, 2009 წ.

2. გვენეტაძე ლ., კორპორაციული ფინანსები, თბ., 2010 წ.
3. გვენეტაძე ლ., კაპიტალის სტრუქტურა და მისი ოპტიმიზაციის ზოგიერთი საკითხები, უფრნალი ბიზნეს-ინჟინერინგი, თბ., 2014 წ.,
4. გაბელია ა., ფინანსები, თბ., 2011 წ.
5. Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес – Финансовый Менеджмент М. 2001
6. Роберт С. Хиггинс., Финансовый анализ: Инструменты для принятия бизнес-решений., 8-е издание Москва., 2007
7. <http://www.gse.ge/stocks/reports.asp>
8. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0--0prompt-10--.%2e-4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL1.12&d=HASH01b3176b954b4041766fb2ed.3.2>
9. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0--0prompt-10--.%2e-4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL1.12&d=HASH01b3176b954b4041766fb2ed.3.1>
10. <http://www.telianivalley.com/intro.php>
11. <http://georgianwine.gov.ge/>

რეზიუმე

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეისობით მსხვილი ბიზნეს კომპანიები აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და თვლიან, რომ გარკვეულწილად, ახორციელებენ კიდევ მას. ქართული ბიზნესი საზოგადოებაში საკუთარ როლს საკმაოდ ფართოდ ხედავს, იმაზე მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საკუთარ თავს, ვიდრე ბიზნეს საქმიანობის ზედმინევენით ხარისხიანად განხორციელება თუ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაა. მენარმეები ბიზნესის ფუნქციად მოიაზრებენ აგრეთვე საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებაში, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემის გადანყვეტაში და გარემოს დაცვაში ნებაყოფლობითი წვლილის შეტანას. ამ თვალსაზრისით მსხვილი ბიზნეს კომპანიები საკუთარ თავს სახელმწიფოს შემდეგ საკმაოდ ქმედით ინსტიტუტად ხედავენ. რაც შეეხება მოსახლეობის მოლოდინებს ბიზნესის მიმართ, იგი ძირითადად მისი უშუალო ფუნქციების ხარისხიან შესრულებას უკავშირდება – გადასახადების გადახდა, ახალი სამუშაო ადგილები, ხარისხიანი პროდუქცია და სერვისები. ამასთან, საზოგადოება ბიზნესისგან ელის საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობების განხორციელებას, აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების პრობლემების გადაჭრაში.

RESUME

ACTIVITIES OF THE ALCOHOL COMPANIES AND THEIR ROLE IN ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA

**Maia Kapanadze, Ac. Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian Technical University**

**Irine mamaladze, Ac. Doctor of Economics,
Associate Professor of Georgian Technical University**

We can conclude that today large business companies become aware of their responsibility towards the society and believe that in some ways they do it. Georgian business community sees his role very well, has more responsibility on themselves than the business activities of the highest quality imple-

mentation and compliance with the obligations fulfillment. Entrepreneurs are also considered to be the function of the business community to improve their lives, social and economic problem and the voluntary contribution to environmental protection. In terms of major business companies of the most effective institution they see themselves. As for the expectations of business, it is mainly a direct function of the quality of performance, payment of taxes, new jobs, high-quality products and services. The business community expects socially beneficial activities, the active participation of the public in solving problems.

მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებული ნებატიური მოვლენების გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე და მისი სტატისტიკური ანალიზი

მანანა მჭედლიშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

განვითარების გარკვეულ ეტაპზე ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები ეკონომიკის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ მათი წვლილი ეკონომიკის ზრდაში სულ უფრო მცირდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად, უკვე ბევრი სპეციალისტი საუბრობს იმაზე, რომ საფინანსო სექტორის დომინანტობა ხდება შემაფერხებელი ფაქტორი სხვა სექტორების განვითარების გზაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული „ფინანსური განვითარების ინდექსი“ შეისწავლის არამხოლოდ ბანკების ფინანსურ მდგრადობის სხვადასხვა მაჩვენებლებს, არამედ უფრო ღრმად იმასაც, თუ როგორია ეკონომიკის სხვა სექტორების წვდომა საბანკო და სხვა ფინანსურ პროდუქტებზე. სავალუტო ფონდის კვლევამ აჩვენა, რომ ისეთი ეკონომიკების საფინანსო სექტორებმა, როგორც არის: ირლანდია, იაპონია და აშშ უკვე გადაკვეთეს ის ხაზი, როდესაც ფინანსური სექტორის ზრდას ნაკლები ეფექტი აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, ბევრ განვითარებად ქვეყანას ჯერ არ მიუღწევია ამ ნიშნულისთვის. მაგრამ რა ხდება საქართველოს შემთხვევაში? რამდენად დომინანტურია ფინანსური სექტორი? რა წვლილი შეაქვს მას ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებაში და რამდენად ამარაგებს ის ეკონომიკის რეალურ სექტორებს ფინანსური რესურსებით? როგორია ეკონომიკაში განვითარებული ნებატიური მოვლენების გავლენა საბანკო სექტორზე?

მსოფლიო ეკონომიკა და მისი ტენდენციები - 2015 წელი მსოფლიოში არასახარბიელო ეკონომიკური პერსპექტივებითა და შენელებული ზრდით ხასიათდებოდა, რაც განვითარებადი ეკონომიკების ზრდის ტემპების შემცირებასა და განვითარებული ეკონომიკების ზომიერ გაჯანსაღებაში გამოიხატა. ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შენელებამ, ენერგომატარებლების ფასის მნიშვნელოვანმა შემცირებამ და ამერიკის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ მონეტარული


პოლიტიკის თანამიმდევრულმა გამკაცრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც მსოფლიო ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ასევე საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივაზე. ენერგომატარებლების ფასის შემცირებამ უარყოფითად იმოქმედა როგორც ენერგომატარებელი ქვეყნების შიდა ბაზრებზე, ასევე გაზისა და ნავთობის მომპოვებელ ინდუსტრიებში ინვესტიციების მოცულობაზე, რამაც ასეთი ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკის განვითარებაში შემაფერხებელი როლი ითამაშა. დღეის მდგომარეობით ფიუჩერულ ბაზრებზე პროგნოზირებენ მხოლოდ ფასების არაარსებით ზრდას 2017 წელს, რაც ასევე არ ქმნის ოპტიმისტურ მოლოდინებს ამ ტიპის ქვეყნების ეკონომიკების მიმართ. ასეთ სიტუაციაში ნავთობექსპორტიორი ქვეყნების უმეტესობა ფინანსურ სიძნელეებს განიცდის, რაც მათი შიდა ბაზრის მოთხოვნაზე უარყოფითად აისახება. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებამ და რეფინანსირების განაკვეთის გაზრდამ განვითარებად ქვეყნებში ფინანსური მდგომარეობა გაამწვავა, რაც ადგილობრივი ვალუტების დასუსტებასა და კაპიტალის შედინების შემცირებაში გამოიხატა. ამ პოლიტიკის შედეგად 2015 წლის განმავლობაში საქართველოს უკლებლივ ყველა სავაჭრო პარტნიორმა განიცადა ამა თუ იმ დონით ეროვნული ვალუტის დევალვაცია. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 2017 წელს შესაბამისად შეადგენს 3.4 %-ს. ამ მოლოდინების მიხედვით განვითარებული ეკონომიკების ზრდამ 2017 წელს 1.8% უნდა შეადგინოს. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მდგრადობა გამოიხატება უძრავი ქონების სექტორის გაძლიერებასა და ძლიერ შრომის ბაზარში. თუმცა აღსანიშნავია, რომ დოლარის გამყარების ტენდენცია უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოო სექტორზე, ხოლო ნავთობის დაბალი ფასები ამცირებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ ინვესტიციებს. ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკები, მარ-

თალია, განიცდიდნენ წმინდა ექსპორტის შემცირებას, მაგრამ ნავთობის დაბალმა ფასებმა და შიდა მოხმარების ზრდამ, გააბათილა სუსტი ექსპორტის ეკონომიკური შედეგები. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს: 2015 წელს მათი ეკონომიკის 4%-იანი ზრდის შემდგომ (რაც 2008-2009 წლების კრიზისის მერე ყველაზე დაბალი მაჩვენებელია) 2016 და 2017 წლებში პროგნოზირებენ 4.1% და 4.6%-იან ზრდას. ასევე ივარაუდება, რომ 2016 და 2017 წლებში გაგრძელდება ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება 6.4% და 6.3% -მდე; ხოლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიუხედავად კარგი წინაპირობებისა, მომავალი 2 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი არასახარბიელოა, რასაც მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაცია და ნავთობის დაბალი ფასების მოლოდინი განაპირობებს. უცვლელი ტემპებით გაგრძელდება ევროპის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლა გარდა რუსეთისა, სადაც მოსალოდნელია ეკონომიკის შემცირება ეკონომიკური სანქციებისა და ენერგომატარებლების დაბალი ფასების გამო.

მსოფლიოს ეკონომიკის გავლენა საქართველოზე და ქართული ეკონომიკის სხვა ტენდენციები - მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართული ეკონომიკის განვითარების დინამიკაზე. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორების დიდი ნაწილის ეკონომიკა (მაგალითად: რუსეთის, ყაზახეთის ან აზერბაიჯანის) მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ენერგომატარებლების ფასებზე, რამდენადაც ნავთობისა და გაზის მოპოვება მათი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, ფასების შემცირებამ საგრძნობი ზარალი მიაყენა მათ ეკონომიკებს. ასე მაგალითად: რუსეთის ეკონომიკის შემცირებამ 2015 წელს 3,7 % შეადგინა, ხოლო რუსულმა რუბლმა აშშ დოლართან მიმართებით 22%-იანი გაუფასურება განიცადა. აზერბაიჯანის ეროვნულმა ვალუტამ, მანათმა, 50%-იანი გაუფასურება განიცადა და ეკონომიკურმა ზრდამ 1.1% შეადგინა. რთულმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ უკრაინის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შედეგად უკრაინის ეკონომიკამ განიცადა 9,9


%-იანი შემცირება და დაფიქსირდა ინფლაციის მაღალი ტემპი. დევალვაცია განიცადა თურქულმა ლირამაც, რომელიც აშშ დოლართან მიმართებით 25%-ით გაუფასურდა, ხოლო ეკონომიკის ზრდამ 3.98% შეადგინა. ასეთი ფაქტორების გამო შემცირდა საქართველოს ექსპორტის შემოსავლები, რომლებიც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. შედეგად ქართული ეკონომიკის ზრდა შეფერხდა და უცხოური ვალუტის შემოდინება ქართულ ეკონომიკაში შემცირდა. ასეთი ნეგატიური ეკონომიკის პირობებში საქართველოს ეკონომიკის ზრდა წინა წლებთან შედარებით შენეულდა და 2.8% შეადგინა. როგორც მოსალოდნელი იყო, საგარეო მოთხოვნის შემცირების შედეგად კლება დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობისა და ვაჭრობის დარგებში, რომლებიც შესაბამისად 4.9%-ითა და 0.3%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ახალი გაზსადენის მშენებლობის შედეგად მშენებლობის დარგში დაფიქსირდა 15.2%-იანი ზრდა, რამაც გარკვეულწილად გაანეიტრალა ეკონომიკის სხვა სექტორების უარყოფითი ტენდენციები. რუსეთისა და საბერძნეთის ეკონომიკებში არსებულმა სირთულეებმა ექსპორტის შემცირების პარალელურად გამოიწვია ტრანსფერების შემცირება, რამაც დამატებითი წნეხის ქვეშ მოაქცია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და განაპირობა 2015 წელს ლარის კურსის დაცემა აშშ დოლართან მიმართებით 28.5%-ით.

საბანკო სექტორის სტატისტიკური ანალიზი - 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 21 კომერციული ბანკით იყო წარმოდგენილი. არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, შეადგენდა 87 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში 84 პროცენტს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2014 წლის 31



დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 13 მილიარდ ლარს გადააჭარბა. როგორც 2013 წელს, ასევე 2014 წელს ყველაზე დიდი მოცულობით გაიზარდა საცალო სესხების სეგმენტი. რომელშიც იგულისხმება ავტო-სესხები, სამომხმარებლო სესხები, მომენტალური განვადება, საკრედიტო ბარათები, სესხები ბინის რემონტისთვის და იპოთეკური სესხები. ამ სახის სესხებზე მთლიანი სესხების 38.6% მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკების მიერ არასანარმოო სექტორზე გაიცემა სესხების დიდი წილი, რითაც ეკონომიკაში პროდუქტიულობა არ იზრდება. გარდა საცალო პროდუქტებისა, სასესხო პორტფელში დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე – დაახლოებით 13%. მაშინ როცა ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ისეთ დარგზე, როგორიცაა – ენერჯეტიკა –

საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოდის მთლიანი სასესხო პორტფელის 3.2%, სოფლის მეურნეობაზე – 4.6%, ნარმოებაზე – 1.2%, სასტუმროებსა და ტურიზმზე – 3.5%, უძრავი ქონების დეველოპმენტზე, მენეჯმენტსა და სამშენებლო კომპანიებზე კი ჯამში მთლიანი სასესხო პორტფელის 7.9%.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვა სექტორებისგან განსხვავებით, საქართველოს საბანკო სექტორის მომგებიანობა სტაბილურად იზრდება. სების ანგარიშის მიხედვით, 2014 წელს უკუგებას საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე 2.6 და 14.8 პროცენტი შეადგინა. საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო

ააცალო პროდუქტების განაწილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წლებში სტაბილურად ხასიათდება.

სების ანგარიშის მიხედვით, საბანკო სისტემის მომგებიანობაზე გასულ წელს პოზიტიურად იმოქმედა აქტივების ზრდამ და მასშტაბის გამო ეფექტიანობის გაუმჯობესებამ.



საბანკო სექტორი 2015 წელს აგრძელებდა ინსტიტუციონალური გაძლიერების პროცესს. ამ პროცესის ნაწილია TBC ბანკის მიერ 2016 წლის აგვისტოში განხორციელებული აქციების განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟის ფასიანი ქაღალდების პრემიუმბაზარზე. ასევე, საქართველოს ბანკის შვილობილი საწარმოს, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მიერ აქციების ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმბაზარზე განთავსება, 2015 წლის ნოემბერში. ასევე აღინიშნება დიდი საბანკო ჯგუფების მზარდი ინტერესი ქართულ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების საშუაშალო საქმიანობის მიმართ. თრ

ანკ-ის ჯგუფი ჩაერთო ორი სავალო ინსტრუმენტის გამოშვების პროცესში, რომლის მთლიანი ღირებულება 148 მილიონ ლარს

უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



შეადგენდა. საქართველოს ბანკის ჯგუფმა 100 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას უშუამდგომლა. ასევე აღსანიშნავია „ფაშა ბანკის“ უშუამდგომლობით „ფინკა ბანკის“ მიერ 20 მილიონი ლარის ნომინალის ობლიგაციების გამოშვება, რომელიც 2015 წელს განხორციელდა. ამ პროცესის ნაწილია საქართველოს ბანკის შვილობილი საწარმოს „გალტ ენდ ტაგარტის“ მიერ

„საქსო ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თავის კლიენტებს საშუალებას აძლევს, საერთაშორისო ბაზრებზე მოახდინონ თავიანთი თანხების ინვესტირება. ამგვარი ტენდენციები ცხადყოფს რომ კორპორაციული სექტორი ნელ-ნელა იწყებს დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ობლიგაციების გამოშვების გზით. 2015 წელს საბანკო სექტორში გამოიკვეთა კომერციულ ბანკებს შორის საცალო სეგმენტისათვის გაძლიერებული კონკურენცია, რაც კორპორაციული სექტორის ზრდის დაკარგვით შეიძლება აისხნას, ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკის ზრდის შემცირების პირდაპირი შედეგია. საბანკო სექტორის წამყვანი მოთა-

მაშეების სტრატეგიები 2015 და 2016 წლებში მიმართული იყო და არის სწორედ ამ სექტორის განვითარებისაკენ, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო და, ასევე, მიკროსაფინანსო სეგმენტზე. საბანკო სექტორში გრძელდება ბანკების გამსხვილების პროცესი. 2015 წელს განხორციელდა TBC ბანკისა და „ბანკ კონსტანტას“ შერწყმა, ასევე „პრივატ ბანკი“ შეიძინა „საქართველოს ბანკმა“, ხოლო 2016 წელს TBC ბანკმა შეისყიდა „ბანკი რესპუბლიკა“ და „პროგრეს ბანკი“.

2015 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელმა 16 მილიარდ ლარს გადააჭარბა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე წლიურმა ზრდამ 5.5% შეადგინა, რაც შენელებული ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციური მოლოდინების შედეგია. აგრევირებული პორტფელის შემადგენლობა 2015 წლის განმავლობაში კარდინალურად არ

შეცვლილა, თუმცა წინა წლებთან შედარებით აღინიშნა მცირე და საშუალო სესხების სეგმენტის 26% -იანი ზრდა, რამაც 3,056 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება კორპორაციული სესხებისა (4,924 მილიონი ლარი) და საცალო სესხების (5,739 მილიონი ლარი) ოდენობას. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგია ლარში განთავსებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა. რაც შეეხება დოლარში გაცემულ სესხებს, ამ სეგმენტში არ შეინიშნება საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის ქარბი ლიკვიდობის დაგროვებამ გამოიწვია.

2015 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის ვალდებულებების სტრუქტურაში ძირითად ცვლილებებს განაპირობებდა საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდების წილის ზრდა, თუმცა ამ ტენდენციას არ ჰქონია არსებითი ხასიათი. 2015 წლის განმავლობაში დეპოზიტები 2,72 მილიარდი ლარით გაიზარდა, რაც გაცვლითი კურსის ეფექტის

გათვალისწინების გარეშე წინა წელთან შედარებით 5.4%- იან ზრდას წარმოადგენს. ვალდებულებების სტრუქტურში, გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე ფიზიკური პირების ანაზრები 4%-ით გაიზარდა, იურიდიული პირებისა კი – 7%-ით. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც საბანკო სექტორის საცალო დაფინანსებამ განიცადა, იყო გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინის შედეგად დეპოზიტების დოლარიზაციის დონის ზრდა. საბითუმო დაფინანსება 2015 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა დივერსიფიცირებულ სტრუქტურას. მთლიანი დაფინანსების 47% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდიოდა, 14% – მფლობელებსა ან დაკავშირებულ მხარეებზე, ხოლო 39% – სხვა კერძო ინსტიტუტებზე. გასათვალისწინებელია, რომ საბითუმო დაფინანსების უმეტესი ნაწილი გრძელვადიანი ბუნებისაა, რაც საბანკო სისტემას შესაძლო ლიკვიდურობის შოკებისაგან იცავს. საბანკო სექტორის უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე 2.3% და 15.4% შეადგინა, რაც მნიშვნელოვანად არ განსხვავდება წინა წლების ანალოგიური მაჩვენებლებისგან. წლის განმავლობაში საბანკო სექტორი განიცდიდა როგორც გაცემული სესხების, ასევე მოზიდული დეპოზიტების პროცენტული განაკვეთების შემცირებას. იმის გამო, რომ სასესხო პორტფელის საპროცენტო განაკვეთები უფრო მეტად შემცირდა, საბანკო სექტორში აღინიშნებოდა საპროცენტოსპრედის შემცირება. ნეგატიური ფაქტორებიდან აღსანიშნავია, ასევე, სესხების დანაკარგების ხარჯების ზრდა, რაც ლარის გაუფასურების შედეგად უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ხარისხის შემცირების შედეგია. თუმცა, მეორე მხრივ, საბანკო სექტორმა შეძლო ხსენებული უარყოფითი ფაქტორების განეიტრალება. პირველ რიგში აღინიშნა

უცხოური ვალუტით ვაჭრობის შედეგად მიღებული საკომისიო შემოსავლების ზრდა, რაც წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ გამოიწვია. ამის გარდა, საბანკო სექტორმა შეძლო ხარჯების ეფექტიანად შემცირება, რაც მთლიანი ხარჯებისა და შემოსავლების შეფარდების კოეფიციენტის შემცირებაში აისახა. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტორი: ლიკვიდურობის ზრდის ფონზე განხორციელდა ლიკვიდური აქტივების მოგებიანობის ზრდა, რომელთა ინვესტიცია განხორციელდა გაზრდილი შემოსავლიანობის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და სახაზინო ვალდებულებებში; ხოლო სასესხო პორტფელის ზრდა პოზიტიურად აისახა საპროცენტო შემოსავლებზე.

დასკვნა: მიუხედავად უკიდურესად გამწვავებული მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობისა და ქართული ეკონომიკის ზრდის შემცირებული ტემპებისა, საბანკო სექტორისთვის 2015 წელი წარმატებული გამოდგა, რადგან მან შეძლო არსებული გამოწვევების დაძლევა. სექტორის მონაწილეთა უმრავლესობამ წელი პოზიტიური შედეგებით დაასრულა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს გაასწრო. ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებლები და კაპიტალის ადეკვატურობის დონის საიმედო ნიშნულზე ყოფნა საბანკო სექტორისთვის ქმნის გარკვეულ წინაპირობას, კვლავაც გაუმკლავდეს დამატებით საგარეო შოკებს მათი არსებობის შემთხვევაში. 2016 საბანკო სექტორისათვის ცვლილებების წელია. 2015 წელს დაწყებული ეკონომიკური სირთულეები 2016 წელსაც გაგრძელდა მეტ-ნაკლები სიმწვავეით. რაც საბანკო სექტორის წინაშე აყენებს მისი შედეგების გათვალისწინებისა და მათზე კორექტული რეაგირების ამოცანებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოზხანაძე, ი., კონტრიძე, გ. „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, 2014 წ.
2. www.nbg.gov.ge
3. www.geostat.ge
4. www.wto.org
5. www.imf.org
6. www.worldbank.org
7. www.ebrd.org
8. www.bstadb.gr

რეზიუმე

განვითარების გარკვეულ ეტაპზე ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები ეკონომიკის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ მათი წვლილი ეკონომიკის ზრდაში სულ უფრო მცირდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული „ფინანსური განვითარების ინდექსი“ შეისწავლის არამხოლოდ ბანკების ფინანსურ მდგრალობის სხვადასხვა მაჩვენებლებს, არამედ უფრო ღრმად იმასაც, თუ როგორია ეკონომიკის სხვა სექტორების წვდომა საბანკო და სხვა ფინანსურ პროდუქტებზე. სავალუტო ფონდის კვლევამ აჩვენა, რომ ისეთი ეკონომიკების საფინანსო სექტორებმა, როგორც არის: ირლანდია, იაპონია და აშშ უკვე გადაკვეთეს ის ხაზი, როდესაც ფინანსური სექტორის ზრდას ნაკლები ეფექტი აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, ბევრ განვითარებად ქვეყანას ჯერ არ მიუღწევია ამ ნიშნულისთვის. მაგრამ რა ხდება საქართველოს შემთხვევაში? მიუხედავად უკიდურესად გამწვავებული მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობისა და ქართული ეკონომიკის ზრდის შემცირებული ტემპებისა, საბანკო სექტორისთვის 2015 წელი წარმატებული გამოდგა, რადგან მან შეძლო არსებული გამოწვევების დაძლევა. სექტორის მონაწილეთა უმრავლესობამ წელი პოზიტიური შედეგებით დაასრულა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს გაასწრო. ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებლები და კაპიტალის ადეკვატურობის დონის საიმედო ნიშნულზე ყოფნა საბანკო სექტორისთვის ქმნის გარკვეულ წინაპირობას, კვლავაც გაუმკლავდეს დამატებით საგარეო შოკებს მათი არსებობის შემთხვევაში.

SUMMARY

WORLD ECONOMICS NEGATIVE EVENTS IMPACT ON GEORGIAN BANKING SECTOR AND ITS STATISTICAL ANALYSIS

On the certain stage of development, banks and other financial institutions compile a quite large part of economics, but their contribution in the growth of economics has been reduced by the time. International Monetary Fund has developed “Financial Development Index”, which studies not only the various indicators of financial condition of the banks, but more deeply, the access of other economic sectors to banking and other financial products. The research of the Monetary Fund has shown that in financial sectors of the economics as Ireland, Japan and USA have, already crossed the line when the growth of financial sector has a less effect on the economy growth. It must be mentioned, that according to research results, many of the developed countries have not reached the benchmark. As for Georgia, although extremely aggravated condition in the World Economics and the slower pace of the growth of the Georgian economics, 2015 was successful for a Banking sector, because it could overcome existed challenges. Most of the sector participants completed a year with positive results and outstripped the temp of the economical growth of the country. High indicators of liquidity and being of the capital adequacy level on a reliable spot, create a certain prerequisite for the Banking sector, for further overcoming additional foreign shocks if they appear.

საქართველოს მრეწველობა და მისი დაკრედიტების პრობლემა

გოდერძი ტყეშელაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სალომე ყიფიანი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ლაშა როხვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

საქართველო სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით, რომელიც უპირველესად სიღარიბის დონესა და უმწეოთა რიცხოვნების ხვედრითი წილით გამოიხატება.

მსოფლიო სავალუტო ფონდის მონაცემებით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2015 წ-ს წარმოებულმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) შეადგინა 3754\$ და მსოფლიოს 184 ქვეყნიდან ჩამონათვალში იკავებს 112-ე ადგილს, ანალოგიური მაჩვენებლები აქვს წარმოდგენილი მსოფლიო ბანკს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას¹. ტერიტორიის და მოსახლეობის მიხედვით კი, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, საქართველო შესაბამისად იკავებს 119-ე და 130-ე ადგილებს², ანუ საშუალო მსოფლიო მაჩვენებლებს საქართველოს მონაცემები მცირედით აღემატება.

ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი მრეწველობის დარგია, რომელიც დღევანდელი სტატისტიკური მეთოდოლოგიით წარმოდგენილია სამი მსხვილი სექტორით: სამთო-მოპოვებითი მრეწველობა (სექცია A), დამამუშავებელი მრეწველობა (სექცია D) და ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (სექცია C). მხოლოდ სექტორების ჩამონათვალიც კი იძლევა წარმოდგენას მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის ეკონომიკისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობა საქართველოს ეკონომიკის შემადგენელ დარგებს შორის ყველაზე მსხვილია და წარმოებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით ყველა სხვა დარგს აღემატება, მისი განვითარების


ტემპები და საერთო მოცულობები მაინც არადაამაკმაყოფილებელია. საკმარისია ითქვას, რომ 2015 წ-ს საქართველოს ეკონომიკაში მთლიანმა წარმოებულმა პროდუქციამ შეადგინა 29993.9 მლნ ლარი, ხოლო მრეწველობაში წარმოებულმა პროდუქციამ 8505.3 მლნ. ლარი³, რაც პროცენტულად 28.3%-ია, მაჩვენებელი სტრუქტურულად რაღაცადაკმაყოფილებელია. საკმარისია ითქვას, რომ გასული საუკუნის ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი იყო. 1987 წ-ს საქართველოში წარმოებულმა მთლიანმა საზოგადოებრივმა პროდუქტმა (გაანგარიშების მეთოდით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე დღეს გამოყენებული წარმოებული პროდუქციის მოცულობა) შეადგინა 22645.1 მლნ მანეთი, ხოლო მრეწველობის მიერ წარმოებულმა პროდუქციის მთლიანმა მოცულობამ – 13722.6 მლნ მან., რაც პროცენტულად 60.5%-ია. კიდევ უკეთესი იყო სტრუქტურა დასაქმებულთა რიცხოვნების მიხედვით. იმავე სტატისტიკური წყაროს გამოყენებით 1987 წ-ს საერთო მომუშავეთა რიცხოვნება 2484.8 მლნ კაცი იყო, რომლის მხოლოდ 30.4% იყო დასაქმებული მრეწველობაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შრომის მწარმოებლურობა (ნაყოფიერება) მრეწველობაში ორჯერ აღემატებოდა მწარმოებლურობის საშუალო დონეს ეკონომიკაში⁴. ასეთი ტენდენცია დღესაც სახეზეა, ანუ მრეწველობას შესწევს ძალა უზრუნველყოს მწარმოებლურობის მაღალი დონე სხვა ეკონომიკის სექტორებთან მიმართებაში. ამავე დროს მრეწველობა ეკონომიკის ის დარგია, რომელსაც ყველაზე ეფექტურად შეუძლია უმუშევრობის დონის შემცირება საქართველოში.

1. იხ. საიტი: [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)_per_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita). გადამოწმებულია 03.02.2017.
2 იხ საიტები: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_sovereign_states_and_dependencies_by_area და https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_population. გადამოწმებულია 03.02.2017.


3 საქართველოს სტატისტიკური წელიწადული 2016. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2016. გვ. 128 და 144.
4 საქართველოს სტატისტიკური წელიწადული 2016. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2016. გვ. 14. 175. 177.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი და მრეწველობის სექტორი აღმავალი ტრენდით ხასიათდებიან, თუმცა, როგორც ბოლო წლებში სწრაფად განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება უჩვენებს, მრეწველობის ზრდის ტემპი გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ეკონომიკის საერთო ზრდის ტემპი.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი, მლნ. ლარი



მრეწველობის დარგის პროდუქციის გამოშვება



მოყვანილი გრაფიკების ანალიზით ჩანს, რომ თუ მთლიანი ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 2003-2015 წწ-ში დაახლოებით სამჯერ, მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა დაახლოებით ხუთჯერ იგივე პერიოდში ხუთს. აღნიშნული ტენდენციის ერთი შეხედვით მიმზიდველობისა, იგი მაინც არასაკმარისია. შედარებისათვის, სინგაპური დღეს წარმოადგენს მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოს, რომლის მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ძალიან მაღალი – 85 ათასი \$-ია. ეკონომიკის ძირითადი დარგი მრეწველობაა, კერძოდ კი გადამამუშავებელი მრეწველობა¹. ასეთივე

მდგომარეობაა აღმოსავლეთ აზიის “ვეფხვებად” ნოდებულ დანარჩენ ქვეყნებშიდაც – სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი.

საქართველოს მრეწველობაში კი ამ სექტორის ზრდის მაღალი ტემპები განპირობებულია მხოლოდ სამთო-მომპობველი მრეწველობის და ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-მომარაგების სექტორების განვითარებით. რასაც ქვემოთ მოყვანილი 1 ცხრილის მონაცემებიც ადასტურებს.

მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ამ სფეროში ინვესტიციების უპირატესი განთავსება. აქ იგულისხმება როგორც უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციები, ასევე ინვესტიციების განხორციელება საბანკო კრედიტების გამოყენებით. ამ მიმართებით მეცნიერებს შორის აზრთა სხადასხვაობა არ არის და არც შეიძლება იყოს.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მრეწველობაში რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. მითუმეტეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც საერთოდ პრობლემატიურია. მოყვანილი გრაფიკი იძლევა შეფასდეს ინვესტიციების მოცულობები მრეწველობაში. 2013 წ-ს მრეწველობაში ინვესტირებულ იქნა 1416.4 მლნ ლარი, შემდგომ კი მისი მოცულობა თანდათან მცირდება და 2015 წ-ს მხოლოდ 813.5 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ციფრობრივი მონაცემი ძალიან მცირეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო ზომის სამრეწველო საწარმოო სიმძლავრის აშენება მიახლოებით ნახევარი მლრდ \$-ის ინვესტირებას მაინც მოითხოვს. საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობები მოცემულია ცხრილ 2-ში². ინვესტიციების მოზიდვის განსაკუთრებით უცხოურის, წინაპირობას გადასახადების მინიმალური სიდიდე წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში არსებული საგადასახადო გარემო კი ხელს არ უწყობს ინვეს-

1 <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%BD%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0>. გადამონმებულია 02.02.2017.

B3%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0. გადამონმებულია 02.02.2017.

2 იხ. საიტო: <http://www.geostat.ge/index.php?action=page&pid=2230&lang=geo>. გადამონმებულია 03.02.2017


ტიციების მოზიდვას. საერთოდ სამეწარმეო გარემოს მიმზიდველობა დამოკიდებულია, როგორც გადასახადებზე, ასევე საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე, საბანკო სისტემის განვითარებაზე, სამეურნეო-სამრთებლივ უზრუნველყოფასა და სხვა ფაქტორებზე.

**ცხრილი 1.
მრეწველობის გამოშვებული პროდუქცია სექტორების მიხედვით (მლნ. ლარი)**

წლები	მრეწველობა სულ	სამთომოპოვებითი მრეწველობა (სექცია A)	დამამუშავებელი მრეწველობა (სექცია D)	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (სექცია C)
2005	2285,1	157,2	1581,3	546,6
2006	2779,0	235,1	1919,1	624,8
2007	3583,3	277,3	2532,9	773,1
2008	3821,8	262,0	2804,5	755,3
2009	3797,1	195,5	2822,1	779,5
2010	4849,7	254,9	3723,8	871,0
2011	6428,3	329,1	5074,3	1024,9
2012	6868,3	364,4	5445,2	1058,7
2013	7299,2	325,3	5864,6	1109,2
2014	8201,5	402,2	6611,7	1187,6
2015	8505,3	652,7	6583,4	1269,2

უცხოური ინვესტიციების მოცულობების განაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მრეწველობის დამამუშავებელ სექტორში მოდის 13%, რაც ჩვენსაირი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსათვის ძალიან ცოტაა.

ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მრეწველობის დარგში



ინვესტირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საბანკო დაკრედიტებაა. საქა-

რთველოში საბანკო სექტორი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად, მაგრამ თუ გადავხედავთ დაკრედიტების მიმართულებებს, ცხადი გახდება, რომ საბანკო დაკრედიტება ნაკლებად ემსახურება მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ამოცანის გადაჭრას. ეროვნული ბანკის მონაცემებით სულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა 2017 წ-ის 1 იანვრისთვის 18101 მლნ ლარი იყო, საიდანაც მრეწველობაში მხოლოდ 2006 მლნ. ლარი, ანუ 11%, მაშინ როცა შინამეურნეობებზე გაცემული სესხების ნაშთმა 9405 მლნ. ლარი შეადგინა¹.

**ცხრილი 2
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ \$)**


წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015	1 564.5	291.5	462.7	483.2	327.1

მრეწველობის საბანკო დაფინანსების არასაკმარისობა განპირობებულია მაღალი საპროცენტო განაკვეთით. იგივე ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პროცენტულ სიდიდეები მოცემულია ცხრილ 3-ში.

ცხრილის მონაცემებიდან ნათელია, რომ საქართველოში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი რამდენჯერმე აღემატება განვითარებულ სახელმწიფოებში ეკონომიკაზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს. მაგალითად აშშ-ში საბანკო პროცენტი შეადგენს 2-3%-ს, ევროკავშირის სახელმწიფოებში 3-5%-ს და ა.შ. კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხის პროცენტი გან-

¹ იხ. საიტი: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>. გადამონ-მებულია 04.02.2017. 3.10.1. კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით დავალიანება საქმიანობის სახეების მიხედვით.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წლის III კვარტალში (%)



ისაზღვრება რეფინანსირების საპროცენტო

განაკვეთით, რაც საქართველოში შეადგენს 6.75%-ს. ამას თან ერთვის მაღალი რისკი, რასაც საბოლოოდ მიყვება ერთი ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 18%-იან, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების 10%-იან განაკვეთებამდე. აღნიშნულს თან ერთვის ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება მრეწველობის საბანკო დაკრედიტების პროცენტზე.

პრობლემის დაძლევა შესაძლებელია ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის დიფერენცირებით დარგობრივი სექტორების შესაბამისად.

ცხრილი 3.

საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების სესხებზე

წლები	სულ			ეროვნული ვალუტით			უცხოური ვალუტით		
	სულ	მოკლევადიან სესხებზე	გრძელვადიან სესხებზე	სულ	მოკლევადიან სესხებზე	გრძელვადიან სესხებზე	სულ	მოკლევადიან სესხებზე	გრძელვადიან სესხებზე
2010	18,6	22,4	17,3	22,6	24,9	21,0	17,2	20,5	16,4
2011	17,1	21,7	15,6	22,6	26,6	19,5	14,9	16,7	14,5
2012	16,9	21,6	15,4	22,1	26,2	19,4	14,4	16,2	14,1
2013	15,9	19,9	14,5	20,7	24,7	18,1	13,5	14,6	13,2
2014	14,3	18,3	13,1	18,2	22,5	15,9	11,9	12,6	11,7
2015	13,2	17,5	12,2	17,6	21,9	15,7	10,8	11,7	10,6
2016	12,9	18,3	11,9	18,3	23,7	16,5	10,0	10,6	9,9

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Philippines Mineral & Mining Sector Investment and Business Guide. International Business Publications. USA, 2013.
2. Foreign Direct Investment in the Real and Financial Sector of Industrial Countries. Springer Science & Business Media. USA, 2014.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2016. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2016.
4. [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_\(nominal\)_per_capita](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita).
5. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_sovereign_states_and_dependencies_by_area და https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_population.
6. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0>
7. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo.
8. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>.

რეზიუმე

საქართველოს ეკონომიკა სუსტია, მითუმეტეს ეს ითქმის მრეწველობაზე. არადა მრეწველობის უპირატესი განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყანამ დაძლიოს არსებული წინააღმდეგობები და ვიქცეთ განვითარებულ სახელმწიფოდ დასაქმების მაღალი

მაჩვენებლით და მისაღები სოციალური ფონით.

მრეწველობის და მისი შემადგენელი სექტორების, განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ მიმართულებით აუცილებელია ინვესტიციების ზრდის პროცესი მრეწველობაში, რომლის გამოვლენის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა მრეწველობის საბანკო დაკრედიტება. საქართველოში საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთები მაღალია, რომლის დაძლევისთვისაც საჭიროა ეროვნულმა ბანკმა შემოიღოს რეფინანსირების შესხებზე დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთები.

ABSTRACT

Goderdzi Tkeshelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor

Salome Kipiani
Doctor of Business Administration

Lasha Rokhvadze
Undergraduate of Georgian Technical University

The Georgia economy is weak; it is especially true for the industry. Without the predominant development of industry impossible to arbitrary country to overcome the current obstacles and become a developed state with high employment rate and acceptable social background.

To the development of industry and its constituent sectors, especially the processing industry should be given the special attention. In this regard, is necessary to increase investments process in the industry, the revealing of that is one of the key directions of bank lending to the industry. In Georgia the bank interest rates are high; to overcome this is necessary to establish by the central bank the differential refinancing loans interest rates.

საქართველო ევროპულ სივრცეში — გზა ევროინტეგრაციისაკენ

ნინო გომართელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ზაალიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

უძველესი დროიდან საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ, ასევე, შორეულ სახელმწიფოებთან. ქართველი და უცხოელი მკვლევრების წინაშე ხშირად წამოჭრილა კითხვა – რას გაუძლო, როგორ გაუძლო საქართველომ და რამ გადაარჩინა ქართველი ერი. აღნიშნული ურთიერთობები, უმეტეს შემთხვევაში, თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისაკენ იყო მიმართული, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ერის, მისი თავისთავადობისა და თავისებურებების აღსაქმელად. ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდგომი უძველესი კულტურული ერი არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით იყო საინტერესო — მისი მფლობელი ევრაზიის ეკონომიკურ ბერკეტებსა და ურთიერთობათა მთელი სისტემის გასაღებს ფლობდა. მრავალი დამპყრობელი შემოსულა კავკასიაში, მათი კარნახით ხშირად წარიმართებოდა ხოლმე ქართული სახელმწიფოს ბედ-იღბალი, თუმცა, პოლიტიკის შეგრძნების ძალისხმევით ჩვენი ქვეყანა გადამწყვეტ მომენტში განთავისუფლებულა და კვლავ მტკიცედ დამდგარა. ქართველი ხალხი უბედურების ჟამს არ გაფანტულა, არ მიუტოვებია თავისი მამული; ეს თვისება იმ ფისქოლოგიურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მახასიათებელთა ჩამონათვალში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი უშუალოება და კონტაქტურობა ეროვნულობის ერთ-ერთ მახასიათებლადაც გვევლინება. ქართველ პოლიტიკოსთა სწორედ ეს მახასიათებელი ვლინდებოდა არა მარტო მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებში, არამედ იმ ხალხებთანაც, რომლებიც გეოგრაფიულად შორეულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ და მათთან ურთიერთობა უხდებოდათ სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ყოველთვის დღის წესრიგში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საგარეო-პოლიტიკური კურსის სტრატეგიული პარტნიორობისა

და ორიენტაციის განსაზღვრა.

ნებისმიერი სახელმწიფოს აღმავლობასა და დაცემას, უპირველეს ყოვლისა, მოცემულ დროს მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესი და იმჟამად არსებული საშინაო და საგარეო ვითარება განსაზღვრავს. თუ კაცობრიობის ისტორიას დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ყოველი გონიერი ხელისუფალი თავისი მმართველობის დროს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობისას, ცდილობდა დროისა და ჟამის შესაფერისად ემართა ქვეყნის საგარეო და საშინაო ვითარება და თავისი ქმედებანი საერთაშორისო ვითარებისათვის შეესაბამებინა.

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო და დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე საქართველომ მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი საქართველოსათვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო (1, 33).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის საკუთარი ადგილის განსაზღვრას, რაც გულისხმობს ევროპასთან, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა გარკვევასა და ჩამოყალიბებას. საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა, მისი განვითარების საფუძველია. საერთაშორისო ცხოვრებაში მონაწილეობის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს უნარზე განახორციელოს მოქნილი საგარეო პოლიტიკა. საქართველოს ბუნებრივი განვითარების გზაა ევროპული გზა, სწორედ ევროპული ფასეულობებია, რაც საქართველოს პოლიტიკურ სახეს ჰქმნ-

იდა და შექმნის მომავალშიც. დასავლეთთან ინტეგრაცია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიაა (2, 101).

ევროპის არა მხოლოდ წარმატებული ეკონომიკური და კეთილდღეობის პროექტის, არამედ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული წარმატებული მშვიდობის პროექტის მშენებლობის საკუთარი ღირებული გამოცდილება გააჩნია (3). ევროპა არის არჩევანი განვითარების იმ მოდელის სასარგებლოდ, რომელიც საქართველოს რიგითი მოქალაქეებისათვის თავისუფლებას, დემოკრატიას, ადამიანთა უფლებების პატივისცემას, განვითარებას, მშვიდობასა და სტაბილურობას ნიშნავს. საქართველო, თავის მხრივ, ვალდებულია თავისი კანონმდებლობა ევროკავშირთან შესაბამისობაში მოიყვანოს და განახორციელოს, ამავე დროს, მან უნდა გააძლიეროს მთელი რიგი ინსტიტუტები, დაიცვას დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის საყოველთაო უფლებები, კერძო საკუთრება. ჩვენი ვალია მინიმალურად მივუახლოვდეთ ევროსტანდარტებს.

ევროკავშირის მხრიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის გადახედვის ინიციატივა შექმნის მყარ საფუძველს ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობთან ურთიერთობების შემდგომი გაფართოებისათვის. ყოველივე ეს საქართველოს მისცემს ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების სფეროში ეფექტიანი თანამშრომლობის შესაძლებლობას, უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების მეტ ჩართულობასა და მათი ინტერესების ჯეროვან გათვალისწინებას. ყოველივე ამის შედეგად, გაძლიერდება უსაფრთხოება და სტაბილურობა რეგიონში, გაღრმავდება თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის შესაბამისი ფორმატებით განსაზღვრულ საკვანძო სფეროებში (2, 104).

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველო დგამს წარმატებულ ნაბიჯს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ევროკომისიამ თავის ანგარიშში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო

რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განახორციელა. სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების უწყვეტ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს (4, 61).

ევროკავშირი აღიარებს ჩვენი ქვეყნის განუხრელ ერთგულებას ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლას ევროპული თანამეგობრობისკენ სწრაფვის გზაზე, იმ თანმიმდევრულ ძალისხმევას, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გასწია რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ლიდერი სახელმწიფოა. მთელი რიგი შიდა და გარე წინააღმდეგობათა მიუხედავად, საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთობათა გაღრმავებას, ევროპის ასოციაციებში განვერვიანებას, ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას (4, 43, 44).

დასავლური ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტი (3, 18). დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო, ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

მთელი რიგი სირთულეების მიუხედავად, საქართველო ევროინტეგრაციის კურსის და ევროპული ღირებულებების ერთგულია, საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროდასავლური ვექტორი კვლავ პრიორიტეტად რჩება. ევროკავშირში განვერვიანება აუცილებელია საქართველოსათვის უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე. დღეს, ვიდრე ოდესმე, საქართველოს ევროპის მხარდაჭერა სჭირდება ევროპას უნდა დავუდასტუროთ

ქართველი ხალხის საუკუნოვანი არჩევანი, ტაცია.
საქართველოს ურყევი პოლიტიკური ორიენ-

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თსუ, საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრი, საერთაშორისო კონფერენცია, ვილნიუსის სამიტი — შედეგები და პერსპექტივები, თბ., 2014.
2. საქართველო-ნატო. სანყისები, რეალობა, პერსპექტივები, თბ., 2014.
3. http://en.wikipedia.org/wiki/Eastern_Partnership
4. მანველიძე ი. ევროკავშირი – გლობალური საერთაშორისო აქტორი, თბ., 2011.
5. ჟ. რადვანი, ნ. ბერუჩაშვილი. კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი, თბ., 2011.

SUMMARY

Georgia in European space – route to the European Union

**Professor of the Georgian Technical University
Nino Gomarteli**

**Associate professor of the Georgian Technical University
Nino Zaalishvili**

Today a favorable international condition for returning to western world has been created for Georgia, as well as real historical opportunity of political social-economic and cultural integration into it. Our country has made statements not once that they are eager to integrate into western military-political structures; tendency regarding strategic alliance with USA became even stronger. In the process of building Georgian statehood a special importance is granted to the goal to define its own place in European commonwealth and it means observing the relations with certain countries. It's obvious, that the complete integration into the International Commonwealth system is extremely important factor; this is the basis for its development.

კონფლიქტის, როგორც სოციალური მოვლენის არსის ბარკვევისათვის

ნინო ზაალიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მსოფლიოში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა დაძაბულობისა და ძალადობის უმწვავესი კერები წარმოქმნა. დაგროვდა დიდძალი ინფორმაცია სხვადასხვა კონფლიქტის შესახებ, რომელთა შესწავლა აუცილებელი გახდა, რათა მათი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გამხდარიყო დაპირისპირებათა გადაქცევა მშვიდობიან ურთიერთობად. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა კონფლიქტთა მოგვარების თეორიულ და პრაქტიკულ გზათა საძიებლად, ჩამოყალიბდა კონფლიქტების თეორიები. სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ პროგრამებში, სამეცნიერო სტატიებსა და გამოკვლევებში სოციოლოგები, ისტორიკოსები და სხვა პოლიტიკურ დისციპლინათა წარმომადგენლები მსჯელობენ კონფლიქტთა მიზეზების, მათი წარმოშობის ფაქტორების, ტიპებისა თუ სახეების შესახებ. ამისდა მიუხედავად, ერთიანი აზრი თვით კონფლიქტის არსის შესახებ ჩამოყალიბებული არ არის. ამის მიზეზია ის, რომ კონფლიქტი თავისთავად უნივერსალური ყოფიერებისაგან განუყოფელი ფენომენია, იგი სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება [1, 29-30].

კონფლიქტი, როგორც პიროვნული და სოციალური ცვლილებების საფუძველი, გავლენას ახდენს საზოგადოების კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნებისმიერი პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას თან ახლავს სხვადასხვა სახის კონფლიქტი, რომელიც არსებულ პრობლემათა გამოვლინებას წარმოადგენს. გამწვავებული პრობლემა გადაჭრას მოითხოვს და, როდესაც ეს არ ხერხდება ყალიბდება კონფლიქტი. კონფლიქტებში ვლინდება გარკვეული მიზნების მქონე ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების უკმაყოფილება მათთვის არახელსაყრელი გარემოს მიმართ. ეს ხდება მაშინ, როდესაც თავს იჩენს ის სადავო საკითხები, რომელთა შესახებ მოლაპარაკება შეუძლებელია. ამის შედეგია ადამიანთა ჯგუფების ისეთი ქცევა, რო-

მელიც ზიანს აყენებს როგორც ინდივიდებს, ასევე საზოგადოებებს, ერებს და ემუქრება მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უშიშროებას. დაპირისპირება სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ძალადობით, მკვლევლობით, საზოგადოებრივი წინააღმდეგობით ჩაგვრის საწინააღმდეგოდ მიმართული ამბოხებით, რელიგიური დაპირისპირებით, ეთნიკურ ურთიერთობათა გამწვავებით, ტერიტორიული ექსპანსიით, ერთა შორისი კონფლიქტებით და სხვ. [2, 111-112]. კონფლიქტი და ძალადობა უფრო ხშირად სოციალურ პრობლემათა სპეციფიკური სიმპტომებია. სოციალური კონფლიქტები ახასიათებს ნებისმიერ საზოგადოებას. კონფლიქტში მონაწილე სოციალური ჯგუფები იბრძვიან მატერიალური და სულიერი სიმდიდრის, ძალაუფლების მოპოვებისა და ინტერესთა და პრეტენზიათა რეალიზაციისათვის [3, 25-30].

კონფლიქტი მრავალმხრივი სოციალური ფენომენია. იგი ადამიანის არსებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ის ბუნებრივი მოვლენაა და სხვადასხვა სოციალური გარემოებისათვის არის დამახასიათებელი. მისი მოქმედების არეალი, ვინრო პიროვნებათა შორისი ურთიერთობის გარდა, ისეთი სოციალური დაჯგუფების თანმხლებია, როგორებიცაა: ოჯახი, გვარი, ნათესაობა, სოციუმი, სოფელი, ქალაქი, სახელმწიფო, კულტურები და ცივილიზაციები. თვით ტერმინი „კონფლიქტი“ უარყოფითი დატვირთვის მატარებელია. ამიტომ მას, ძირითადად, ისე აღიქვამენ, როგორც დესტრუქციულ სოციალურ მოვლენას. მაგრამ, მას ზოგიერთ შემთხვევაში, პოზიტიური ფუნქციაც აკისრია. კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, იმდენად აქტუალურია, რომ უკანასკნელი წლების ინტენსიური მეცნიერული შესწავლამ ას მეცნიერების ცალკე დარგადაც აყალიბებს [3, 29].

კონფლიქტი ყოველთვის წარმოიქმნება და წარმოიქმნება. ერთი საზოგადოება მეორისაგან მასში კონფლიქტის არსებობა-არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მის მიმართ დამოკიდებულებით. სწორედ ეს განსაზღვრავს კონფლიქტთა რეგულირების ისეთი ნაციონალური მეთოდების არსებო-

ბას, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს კონფლიქტებისაგან მომდინარე საშიშროებას [4, 19]. თანამედროვე კონფლიქტოლოგები თავიანთი კვლევის საგნად იმ პირობების ძიებას მიიჩნევენ, რომელიც კონფლიქტებს მათი უკიდურესი საშიში ფორმიდან, თუნდაც ცხარე, მაგრამ მაინც კამათის სახემდე დაიყვანს [4, 20]. ისინი ცდილობენ იპოვონ ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც ნაახალისებენ ადამიანთა უნარს გააკეთონ სწორი არჩევანი მიზნის მისაღწევად და გააკონტროლონ გარემო ურთიერთობები.

მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს კონფლიქტთა მართვის უნივერსალური ხერხების მიგნებას, ნაწილი კი კონფლიქტთა გადაწყვეტის საშუალებებს ეძებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე შეიარაღების ხელმისაწვდომობა ზრდის ძალადობასა და მისთვის წინააღმდეგობის განხრის შესაძლებლობებს, ცხადი ხდება, რომ კონტროლის არსებული ხერხები, თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკური ტენდეციების ფონზე, არ იძლევა დაძაბულობების შეჩერების საშუალებას. აუცილებელი ხდება ახალი გზებისა და მეთოდების ძიება.

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, კონფლიქტთა მართვის ძველი მეთოდები მცდარი იყო, რადგან იგი ემყარებოდა ადამიანის შესაძლებლობებისა და მათი მართვის ტრადიციული შეფასებისას დაშვებულ შეცდომას. აღსანიშნავია, რომ უგულვებელყოფილ იყო ათეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ადამიანის ქცევის გამომწვევი საფუძვლები და ხელისუფლება თვისი ინტერესებისა და არსებული ინსტიტუტების დაცვას მბრძანებლური კონტროლით ცდილობდა.

კონფლიქტთა შეფასების არაერთგვაროვნების გამო სახელმწიფო ხელისუფლება, უმეტეს წილად საკუთარი ინტერესებისა და იდეოლოგიის გათვალისწინებით თავად წყვეტს თუ როგორი პოლიტიკა გაატაროს თავისი იურისდიქციის ფარგლებში, თუნდაც გარკვეული რისკის ფასად. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ რეპრესიული რეჟიმიც კი სამართლებრივად ჩაითვლება და ასეთ ქვეყანას შიდა უთანხმოების მოსაწესრიგებლად შეიძლება გარედან დახმარებაც გაენიოს [5, 27-30].

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა, რომ კონკრეტული ინდივიდის ან იდენტური ჯგუფის წინააღმდეგობის ძალა ხშირად დიდად აღემატება ხელისუფლების

ძალაუფლებას. ცენტრალური ხელისუფლება და ძალაუფლების მქონე სხვა რეჟიმი ვერ უმკლავდება სამხედრო თვალსაზრისით მათზე ბევრად უფრო სუსტ ჯგუფებს.

ეს უკანასკნელი კი თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ყველა საშუალებას მიმართავენ, მათ შორის ძალადობის სხვადასხვა ფორმებსაც. ამის შედეგად ყალიბდება სურათი, რომ კანონიერად აღიარებული სახელმწიფო ძალადობა კონფრონტაციას უწევს არაოფიციალურ ძალადობას, რომელიც ხელისუფლების მიერ შეფასებულია როგორც ტერორიზმი.

ავტორიტარული საზოგადოების ძალღვანი სტრუქტურები ცდილობენ, კონფლიქტი ჩანასახშივე ჩაახშონ, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტა [1, 34]. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება ისე მიეჩვია ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალადობის სხვადასხვა ფორმით გამოვლენას, რომ მას კულტურის ნორმალურ ნაწილად აღიქვამს. მაგალითია, სამოქალაქო ომები, ეთნიკური კონფლიქტები, ტერორიზმი ადამიანთა გულისტკივილს იწვევს, მაგრამ საზოგადოებაც და ოფიციალური შეგუებულია აზრს, რომ თანამედროვე, იდეოლოგიურად და ეთნიკურად ჭრელ, კომპლექსურ საზოგადოებაში კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული ძალადობა მზარდია დროსა და სივრცეში. თუკი კონფლიქტის რეგულირების დროს ხელისუფლება მიმართავს კონკრეტულ საშუალებებს - ძალადობად, შეთანხმებას, მოლაპარაკებებს, კონფლიქტის გადაწყვეტისას მან უნდა გადაჭრას კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი პრობლემები და ამ გზით მიაღწიოს ურთიერთობათა ტრანსფორმაციას, ანუ კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრამ ხელი უნდა შეუწყოს ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

კონფლიქტის გადაწყვეტის პირობაა, მონაწილე მხარეებმა გააცნობიერონ და შეაფასონ თავიანთი ქცევის შედეგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა გარკვეული საკონფლიქტო სიტუაციების თავიდან აცილება ვერ ხერხდება, მაგრამ კონფლიქტის გამომწვევ ობიექტურ მიზეზთა გამორკვევა და ანალიზი შესაძლებელს ხდის მის აღკვეთას. კონფლიქტის გადაწყვეტა ხშირად გამოკიდებულია იმაზეც, თუ მასში მონაწილე მხარეები რამდენად აცნობიერებენ იმას, რომ კონფლიქტის მიზეზები საძიებელი არა მათ ლიდერებში, არამედ იმ გარემო პირობებში,

რომლებსაც ისინი არ აკონტროლებენ. არც კონფლიქტის წყაროთა შესახებ არსებობს ერთიანი შეხედულება. ამ საკითხზე მსჯელობისას ყოველი მეცნიერ ტერმინებსაც კი განსხვავებულს იყენებს: კონფლიქტის წყარო, საფუძველი, მიზეზი, პირობები თუ ფაქტორები. მიუხედავად ამისა, მკვლევართა დიდი ნაწილი კონფლიქტების ძირითად საფუძველად მიიჩნევს ადამიანის ქცევებში ღრმად ფესვგადგმულ მოთხოვნილებებს, რომლებიც ინტერსების ან იდეების შეჯახებისას, არჩევანის გაკეთების ან უპირატესობის გამომჟღავნებისას ვლინდება. ამ სადავო საკითხთა თაობაზე შეუძლებელი ხდება მოლაპარაკება. სწორედ მოთხოვნილებათა ნაწილობრივ ან სრულ დაუკმაყოფილებლობას მივყავართ კონფლიქტებამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნილებანი უპირატესად არამატერიალური ხასიათისაა, რადგან ადამიანის მემკვიდრეობით მიდრეკილებანი და ქცევები მიმართულია უფრო ღრმა ინტერესებისაკენ, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა. მაგალითად, იდენტურობისა და ავტონომიისაკენ [5, 22]. ხშირად ადამიანთა დაპირისპირების მიზეზი ხდება მათი უნივერსალური მოთხოვნილებების, კულტურული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვა-განხორციელება, რაც სხვადასხვა მოთხოვნის სახით ვლინდება.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე კონფლიქტთა დახასიათება. ეს დაპირისპირებანი ძირითადად შეიარაღებული კონფლიქტების ტიპს მიეკუთვნება. მკვლევართა ერთი ნაწილი მათში გამოყოფს ამგვარი კონფლიქტის ახალი ტიპებს. ესენია: „ბრძოლა“ პოლიტიკურ ფრაქციებს შორის ძალაუფლებისათვის და „ბრძოლა“ საბჭოთა იმპერიის განახლებისათვის [5, 29-32]. პირველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხე, მეორე შემთხვევაში კი

ჩნდება ეთნო კონფლიქტების კერები. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტები შეიძლება იყოს შეიარაღებულიც (აფხაზეთი, ყარაბახი, უკრაინისა) და შეუიარაღებელიც (ბალტიისპირეთი). ისინი ძირითადად ეთნო ტერიტორიულია და ორ ჯგუფად ნაწილდება. პირველია – დეპორტირებულ ხალხთა პრობლემასთან დაკავშირებული კონფლიქტები (მაგალითად, ვოლგისპირეთის გერმანელები, ყირიმელი თათრები, მესხი თურქები) და მეორე – ადმინისტრაციული თვითნებობის შედეგად წარმოშობილი ავტონომიებთან დაკავშირებული კონფლიქტები [6, 43].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცესა და თავად რუსეთში დომინირებს ისეთი კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც აღარ წარმოადგენენ ყოფილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას. მათ უკვე საფუძვლად უდევთ ხალი პოსტსაბჭოთა რეალიები. ასეთი კონფლიქტთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ეთნოეტიკური კონფლიქტები. ხშირად მათ პოლიტიკურ-ტერიტორიული კონფლიქტის ხასიათი უფრო აქვთ. პოსტსაბჭოთა სივრცეში დღეს არსებული სიძნელები და წინააღმდეგობები შესაძლებელს ხდის სხვადასხვა ჯგუფის უკმაყოფილების ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას. ჯერჯერობით ამ კონფლიქტებისა და დაძაბულობათა გადანყვეტა ყოველი ცალკეული თუ საერთაშორისო საზოგადოების შესაძლებლობებს აღემატება, თუმცა, ზოგჯერ ხერხდება კონფლიქტთა შეჩერება და მეტნაკლებად სტაბილური სიტუაციის შექმნა. ამასთან, ყოველი კონკრეტული კონფლიქტი ინდივიდუალური და უნიკალურია, ამდენად საჭიროა მათი ცალ-ცალკე შესწავლა, გამომწვევი მიზეზების დადგენა და სათანადო კონკრეტული დასკვნების გამოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Coser Levis, The functions of Social Conflict, N.Y., 1956, p. 12-23;
2. Cellner E., Nations and Nationalism, Oxford, Blackwell, 1983;
3. Териер Д., Структура социологической теории, Москва, 1994, стр. 25-50;
4. Coser Levis, The functions of Social Conflict, N.Y., 1956, p. 30-35;
5. Douth Morton, Subjective Features of Conflict Resolution: Psychological, Social and Cultural Influences, p. 27;
6. Bulton John, Conflict: Resolutions and Prevention London: MacMillan Press, 1990, p. 133;
7. Паин Э., Попов А., Межнациональные конфликты в СССР, жур. СЭ, 1990, №1 (январь-февраль), с. 4-12;

SUMMARY

Conflict as for clarifying social phenomenon

nino zaalishvili

Associate professor of the Georgian Technical University

From 90s began intensive work for searching theoretical and practical solutions, developed theories of conflict. Various programs developed by the university and research institute, scientific articles and studies, sociologists, historians and other political disciplines discuss the causes of conflicts, their origin factors or types.

The real difficulty in studying conflicts is to schematize, abstract and isolate factors that are relevant for a sufficient explanation of the conflict.

Despite the common sense of the essence of the conflict is not well defined. The reason in that the conflict itself is an integral aspect of being universal, it is manifested in all spheres of social life.

საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიური ქალაუფლების შესახებ

მამია ჭუმბურიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი
გიორგი ჭუმბურიძე
ეკონომიკის დოქტორი

ეკონომიკურ თეორიაში კონცენტრაციასთან დაკავშირებით არსებობს ორი მიდგომა: ერთი დაკავშირებულია საერთო კონცენტრაციასთან, ხოლო მეორე საბაზრო კონცენტრაციასთან. საერთო კონცენტრაცია დაკავშირებულია პროდუქციის გამოშვებასთან, ვთქვათ, 50 ან 100 წამყვანი ფირმების მიერ. ამ შემთხვევაში ჩვენ წარმოდგენა გვაქვს რამდენად მცირეა იმ ფირმების რიცხვი, რომლებიც ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ. ამასთან ერთად, ჩვენ გვინტერესებს ცალკეული ფირმების ქცევა დარგობრივ ბაზარზე, ანუ საბაზრო კონცენტრაცია. საბაზრო კონცენტრაციის ანალიზი წარმოდგენას გვაძლევს დარგის მომგებიანობაზე, ფასწარმოქმნის მექანიზმზე, პროდუქციის ხარისხზე და საერთოდ დარგის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რამდენადაც საბოლოოდ სწორედ დარგობრივ ბაზარზე ვლინდება დარგის ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა.

დარგობრივ ბაზარზე საბაზრო კონცენტრაციაში იგულისხმება გამყიდველებისა და მყიდველების კონცენტრაცია. მყიდველების კონცენტრაცია ბაზარზე, როგორც წესი, დამოკიდებულია ორ პარამეტრზე: 1. ბაზარზე მათ რაოდენობაზე, 2. მათ ხვედრით წილზე მზა პროდუქციის დარგობრივ ყიდვა-გაყიდვებში. ორი დარგობრივი ბაზრიდან გამყიდველების კონცენტრაციის დონე იქ უფრო მაღალია, სადაც ფირმების რიცხვი ნაკლებია. თუ ფირმების რიცხვი თანაბარია, მაშინ კონცენტრაციის დონე იქ უფრო მაღალია, სადაც გაყიდვების ხვედრითი წილი მაღალია.

ანალოგიური ვითარება ყალიბდება მყიდველების კონცენტრაციის თვალსაზრისითაც.

აქედან გამომდინარე, საბაზრო კონცენტრაციაში იგულისხმება ფირმების სიმჭიდროვე, რიცხოვნობა დარგობრივ ბაზარზე და მათი ხვედრითი წილები ყიდვა-გაყიდვებში.

ფირმების მცირე რიცხვი, ე.ი. მცირე სიმ-

ჭიდროვე ანუ მეჩხერობა, დიდი ხვედრითი წილი გაყიდვებში მონაწილე გამყიდველების მაღალი კონცენტრაციის დონეზე. იმ შემთხვევაში, როცა სიმჭიდროვე უდრის 1-ს, საქმე გვაქვს მონოპოლიურ ბაზართან.

ანალოგიური დამოკიდებულებაა მყიდველების კონცენტრაციის შეფასებისას დარგობრივ ბაზარზე. რაც ნაკლებია მყიდველი ბაზარზე, მით უფრო მაღალია მათი კონცენტრაციის დონე. შემთხვევა, როცა მყიდველების სიმჭიდროვე უდრის 1-ს, მაშინ საქმე გვაქვს მონოპოლიურ ბაზართან.

დარგობრივი ბაზრების კონცენტრაციაზე წარმოდგენა იქნება გაცილებით ზუსტი, თუ ანალიზს გავაღრმავებთ ფირმის სიდიდის მაჩვენებლით. მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ფირმების რაოდენობა, არამედ მათი ზომაც. რაც უფრო დიდია ფირმა, მით უფრო დიდია გამყიდველების (მწარმოებლების) და მყიდველების კონცენტრაცია ბაზარზე.

რით განისაზღვრება ფირმის სიდიდე? არსებობს ოთხი ძირითადი მაჩვენებელი ფირმის ზომის დამახასიათებლად, განსაზღვრისათვის: 1. ფირმის ხვედრითი წილი პროდუქციის საბაზრო რეალიზაციის საერთო მოცულობაში; 2. ფირმაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მოცემული პროდუქციის წარმოებაზე დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში; 3. მოცემული ფირმის აქტივების ხვედრითი წილი მოცემულ ბაზარზე მოქმედი ფირმების აქტივების საერთო მოცულობაში; 4. დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი მოცემული პროდუქციის მწარმოებელი ფირმების დამატებული ღირებულების საერთო მოცულობაში.

კონცენტრაციის დონე არსებით გავლენას ახდენს ბაზრის აგენტების ქცევაზე. რაც უფრო ნაკლებია გამყიდველების ოდენობა ბაზარზე, მით უფრო მეტია მათი ურთიერთკავშირი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდია იმის ალბათობა, რომ ისინი იმოქმედებენ შეთანხმებულად და შედეგად გვექნება ნაკლებ-კონკურენტული ბაზარი.

დარგობრივ ბაზარზე გამყიდველებისა და მყიდველების კონცენტრაციის დონის დახასიათებისთვის სხვადასხვა მაჩვენებლებს იყენებენ. ყველაზე მარტივად და ადვილად გამოსაყენებლად მიჩნეულია კონცენტრაციის ინდექსის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება რამდენიმე მსხვილი ფირმის რეალიზაციის მოცულობათა ჯამის გაყოფით დარგობრივი ბაზრის მთლიან რეალიზაციაზე. მაგალითისთვის, დავუშვათ 4 ფირმის ერთგვაროვანი საქონლის (მომსხურების) რეალიზაცია შეადგენს 18 მლნ ლარს (3 მლნ ლარს + 4 მლნ ლარს + 6 მლნ ლარს + 5 მლნ ლარს, სულ 18 მლნ ლარს). აღნიშნული საქონლის მთლიანი რეალიზაცია დარგობრივ ბაზარზე კი შეადგენს 20 მლნ ლარს. ასეთ შემთხვევაში საბაზრო კონცენტრაციის დონე, იქნება:

$$I = (3+4+6+5)/20 = 18/20 = 0,9$$

ირკვევა, რომ საბაზრო კონცენტრაციის დონე (I) საკმაოდ მაღალია და შეადგენს 0,9-ს.

არსებობს საბაზრო კონცენტრაციის დონის გაანგარიშების ასევე, მარტივი წესი, გაანგარიშებული სამი ყველაზე მსხვილი ფირმის ხვედრითი წილების მიხედვით (იხ. ცხრილი).

კონცენტრაციის დონე დარგობრივ ბაზარზე ხუთი ფირმის ხვედრითი წილების მიხედვით ცხრილი 1


დარგობრივი ბაზარი	ხვედრითი წილები %					საბაზრო კონცენტრაცია 3 მსხვილი ფირმის მიხედვით CD3
	I ფირმა	II ფირმა	III ფირმა	IV ფირმა	V ფირმა	
A	60	20	10	5	5	90
B	50	20	10	10	10	80
C	40	20	15	15	10	75

ცხრილიდან ირკვევა A დარგობრივ ბაზარზე კონცენტრაციის დონე 3 მსხვილი ფირმის მიხედვით შეადგენს 90%-ს, (60%+20%+10%=90%). შესაბამისად, B და C დარგობრივ ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეადგენს 80 და 75 პროცენტს.

ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ საბაზრო კონცენტრაციის დონე იმ დარგობრივ ბაზარზე მაღალი, სადაც ერთ ფირმაზე საბაზრო რეალიზაციის მოცულობის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის. ეს კანონზომიერება აშკარად დასტურდება A, B და C დარგობრი-

ვი ბაზრების მიმართ, სადაც ერთ ფირმაზე მოდის საბაზრო რეალიზაციის ხვედრითი წილები, შესაბამისად: 60, 50 და 40 პროცენტი.

საბაზრო კონცენტრაციის დონის გასაზომად იყენებენ აგრეთვე **ლორენცის მრუდს**¹ და ამის საფუძველზე - **ჯინის კოეფიციენტს**² (ინდექსს). ჯინის კოეფიციენტს ის თავისებურება ახასიათებს, რომ მრუდის ასაგებად საჭიროა ინფორმაცია გვექონდეს დარგობრივი ბაზრის ყველა ფირმის შესახებ. განვიხილოთ მრუდი.



ჰორიზონტალურ ღერძზე ნაზარდი ჯამით აისახება ფირმების რიცხვის ხვედრითი წილები, რომლებიც წინასწარ რანჟირებულია ზომის მიხედვით მცირედან დიდისკენ. ვერტიკალზე, ასევე ნაზარდი ჯამით აისახება პროდუქციის რეალიზაციის (გაყიდვების) ხვედრითი წილები მთლიან რეალიზაციაში.

თუ ფირმების რაოდენობას გავყოფთ 5 ნაწილად ანუ 20-20 პროცენტად ნაზარდი ჯამით, ასევე დარგობრივ ბაზარზე საქონლის რეალიზაციის მოცულობასაც 5 ნაწილად, 20-20 პროცენტად დავყოფთ და განვალაგებთ OX (ფირმების ხვედრითი წილები) და OY ღერძებზე (რეალიზაციის, გაყიდვების ხვედრითი წილები), OE დიაგონალი, შეესაბამება სიტუაციას, როცა დარგობრივ ბაზარზე ყველა ფირმა ერთი ზომისაა და საქონლის რეალიზაციაშიც თანაბარი ხვედრითი წილები უჭირავთ. ასეთი სიტუაცია ეკონომიკურ თეორიაში შეესაბამება თავისუფალი კონკურენციის ბაზარს და თანამედროვე საბაზრო (შერეული) ეკონომიკის პირობებში მხოლოდ თეორიული მსჯელობის სფეროს მიეკუთვნება. ამიტომ რეალურად დარგობრივ

1. ლორენცი მაქს (1876-1959) ამერიკელი სტატისტიკოსი და ეკონომისტი მისი სახელი ეწოდა ცნობილ „ლორენცის მრუდს“.
2. ჯინი კორრადო, (1884-1965) იტალიელი სტატისტიკოსი, ეკონომისტი, დემოგრაფი, მისი სახელი ეწოდა „ჯინის კოეფიციენტს“.

ბაზარზე ფირმებს განსხვავებული ხვედრითი წილები უჭირავთ მთლიან რეალიზაციაში, რაც ზოგჯერ არათუ საერთო საბაზრო კონცენტრაციის დონეს განსაზღვრავს, არამედ ფირმის საბაზრო მონოპოლიურ ძალაუფლებაზეც იძლევა წარმოდგენას.

მოცემულ ნახაზზე ფირმების საერთო რიცხოვნობის 40% რეალიზაციას უკეთებს საერთო მოცულობის 60%-ს (K წერტილი, OKE მრუდზე). რაც მეტადაა დაშორებული K წერტილი და შესაბამისად მრუდი დიაგონალს, მით მეტია საბაზრო კონცენტრაციის დონე. თუ დიაგონალსა და მრუდს შორის ფართობს აღვნიშნავთ T-თი, ხოლო მთლიან ფართობს OYE -ასოთი, მაშინ ჯინის კოეფიციენტი G_K იქნება: $G_K = T/O$.

ჯინის კოეფიციენტის სიდიდე იცვლება 0-დან 1-მდე ან $0 < G_K < 1$. რაც უფრო ახლოსაა ჯინის კოეფიციენტი 1-თან, მით უფრო მაღალია საბაზრო კონცენტრაციის დონე და პირიქით. თუ ჯინის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, მაშინ დარგობრივ ბაზარზე კონცენტრაციის უმაღლესი დონეა და დარგობრივ ბაზარზე ფირმის მონოპოლიურ ძალაუფლებას აქვს ადგილი.

საბაზრო კონცენტრაციის დონის განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადია **ჰერფინდალ-ჰირშმანის** მეთოდი (ინდექსი). იგი უფრო სანდოდ იმიტომ მიიჩნევა, რომ ბაზრის სტრუქტურის ანალიზისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსხვილი ფირმების როლსა და ქცევას საბაზრო ძალაუფლების ფორმირებაში, ასახავს ფირმების შეერთება-შერწყმის პროცესს, ფასწარმოქმნის მექანიზმს, მომხმარებელთა სოციალურ ინტერესებს და სხვა. ამიტომაც დარგობრივი ბაზრების ანალიზი ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდის მიხედვით აშშ-ის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) იანგარიშება თითოეული ფირმის რეალიზაციის (გაყიდვების, წარმოების და ა.შ.) ხვედრითი წილების კვადრატში აყვანის და მათი დაჯამების გზით:

$$HHI = (S_i/S)^2$$

სადაც, S_i – i ფირმის რეალიზაციის (გაყიდვების, წარმოების) მოცულობაა.

S – დარგობრივი ბაზრის რეალიზაციის (გაყიდვების, წარმოების) მთლიანი მოცულობა.

საილუსტრაციოდ გავანალიზოთ ცხრილის პირობითი მონაცემები.

ცხრილი 2

დარგობრივი ბაზარი	ხვედრითი წილები, %				საბაზრო კონცენტრაციის დონე, ინდექსი (I)
	I ფირმა	II ფირმა	III ფირმა	IV ფირმა	
A	25	25	25	25	$25^2+25^2+25^2+25^2=2500$
B	40	20	20	20	$40^2+20^2+20^2+20^2=2800$
C	35	30	25	10	$35^2+30^2+25^2+10^2=2850$
D	70	10	10	10	$70^2+10^2+10^2+10^2=5200$

როგორც ცხრილიდან ჩანს ოთხივე, A, B, C და დარგობრივ ბაზარზე ფუნქციონირებს ოთხ-ოთხი ფირმა. განსაზღვრულია მათი ხვედრითი წილებიც ბაზრის მთლიან გაყიდვებში. თუ მათ ხვედრით წილებს ავიყვანთ კვადრატში და შევკრებთ, მივიღებთ საბაზრო კონცენტრაციის დონეს (ინდექსს) გამოხატულს აბსოლუტურ ციფრებში. მოცემულ შემთხვევაში კონცენტრაციის დონე ყველაზე მაღალია D დარგობრივ ბაზარზე და შეადგენს 5200 პუნქტს.

მიღებულია, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა (სიდიდე) მერყეობს 0-10000 ინტერვალში. თუ HH ინდექსი დარგობრივ ბაზარზე იმყოფება 0-1000 ინტერვალში, მაშინ **კონცენტრაციის დონე დარგობრივ ბაზარზე დაბალია** და 2 ფირმის შერწყმა – შეერთება შეშფოთებას არ იწვევს აშშ სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებში. თუ ინდექსი 1000-1800 ინტერვალშია – **ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია**. ამასთან ერთად, ყურადსაღებია, რომ ანტიმონოპოლიური მარეგულირებელი ორგანოები სისტემატურად აკვირდებიან და აანალიზებენ, ხომ არ იწვევს შერწყმა-შეერთება HH ინდექსის მთელი 100 პუნქტით გადიდებას? ასეთის შემთხვევაში მარეგულირებელი ორგანოები აპროტესტებენ ფირმების შერწყმა-შეერთებას და იწყებენ დეტალურ გამოძიება-გამოკვლევა-ანალიზს სათანადო გადანყვეტილების მისაღებად. თუ HH-ის ინდექსი 1800 პუნქტს აჭარბებს **მაღალი კონცენტრაციის დონის ბაზართან** გვაქვს საქმე და ფირმების შეერთება-შერწყმის შედეგად HH-ის ინდექსი თუნდაც 50 პუნქტით იზრდებოდეს, მარეგულირებელი ორგანოები კიდევ უფრო ღრმა და დეტალურ გამოძიება-გამოკვლევა-ანალიზს იწყებენ შესაბამისი გადანყვეტილების გამოსატანად.

ზემოთ აღნიშნული სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1800	<p>მაღალი კონცენტრაციის დონის ბაზარი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები აპროტესტებენ ფირმების შერწყმა-შეერთების შედეგად თუ -ის ინდექსი იზრდება 50 პუნქტით. ასეთ შემთხვევაში იწყებენ ღრმა დეტალურ გამოძიება-გამოკვლევა ანალიზს გადაწყვეტილების მისაღებად.</p>
1000	<p>ზომიერად კონცენტრირებული დონის ბაზარი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები აპროტესტებენ თუ ფირმების შერწყმა-შეერთების შედეგად -ის ინდექსი იზრდება 100 და მეტი პუნქტით და მარეგულირებელი ორგანოები იწყებენ გამოძიება-გამოკვლევა ანალიზს გადაწყვეტილების მისაღებად.</p>
0	<p>დაბალი დონის (არაკონცენტრირებადი) ბაზარი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები არ აპროტესტებენ.</p>

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბაზრო კონცენტრაციას რეალურად მივყავართ **ფირმის საბაზრო ძალაუფლებამდე**. როდესაც ამბობენ, რომ ფირმა ფლობს საბაზრო ძალაუფლებას, ეს ნიშნავს იმას, რომ მას აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს ფასწარმოქმნაზე. ხშირად, დარგობრივი ბაზრების თეორიაში, საბაზრო ძალაუფლებას მონოპოლიურ ძალაუფლებასაც უწოდებენ, მათი შინაარსი მართლაც ერთიდაიგივეა: **ეს არის ერთი ეკონომიკური აგენტის ან აგენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის უნარი გავლენა მოახდინოს საბაზრო ფასებზე**. არსებობს მონოპოლიური ძალაუფლების ბუნების ახსნის საინტერესო შეხედულებები. მაგალითად რუსი ეკონომისტი ვ. ტრეტიაკი¹ თვლის, რომ ფირმის საბაზრო ძალაუფლების ბუნება ემყარება მის შესაძლებლობას და უნარს ფირმის შიგნით ძალაუფლებრივი და მბრძანებლური ურთიერთობანი გაიტანოს საკუთარ საზღვრებს გარეთ. ასეთ ფირმებს, როგორც წესი, შეუძლიათ დარგობრივი ბაზრის სუბიექტების ქცევის კორექტირება. მათ, გადატანითი მნიშვნელობით **პასიონარულ ფირმებსაც** უწოდებენ. (“პასიონარულობაში” იგულისხმება ქცევის ისეთი ხასიათი, როცა ორგანიზმის ბიო-ფიზიკური ენერჯის სიჭარბე, ადამიანებს შრომის უმაღლესი დაძაბულობის შესაძლებლობას აძლევს).

ფირმის მონოპოლიური ძალაუფლების განსაზღვრისათვის ხშირად იყენებენ ბეინის

ინდექსს და ლერნერის ინდექსს².

ბეინის ინდექსი განისაზღვრება ფორმულით:

$$BI=(TR-TC)/K,$$

სადაც – I – ბეინის ინდექსია,

TR – ფირმის მთლიანი შემოსავალი

TC – ფირმის მთლიანი ხარჯები

K – ფირმის კაპიტალის (აქტივების) ღირებულება

ლერნერის ინდექსი გაინგარიშება ფორმულით:

$$LC=(P-AC)/P,$$

სადაც P – მოცემული ფირმის ფასია,

AC – ფირმის საშუალო დანახარჯებია.

ადვილი შესამჩნევია, რომ როგორც ბეინის ინდექსის, ასევე ლერნერის ინდექსის საიმედოობა დამოკიდებულია ფირმის შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტ აღრიცხვაზე, მონაცემების სიზუსტეზე და ა.შ.

ზემოთაღნიშნული ინდექსები იანგარიშება აბსოლუტურ სიდიდეებში 0-1 დიაპაზონში. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებულია, რომ მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში საბაზრო ძალაუფლების ინდექსი იმყოფება 0,3-0,5 დიაპაზონში, ოლიგოპოლისტური ბაზრის პირობებში 0,6-0,8 დიაპაზონში, დომინირებული ფირმის პირობებში 0,8-0,9 დიაპაზონში, მონოპოლური ბაზრის პირობებში კი 0,9-1,0 დიაპაზონში.

განვიხილოთ რა საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლური ძალაუფლების ზოგიერთი მაჩვენებელი და მათი გაანგარიშების მეთოდები, შეგვიძლია გავაკეთოთ მთავარი დასკვნა: საბაზრო, შერეული ეკონომიკის პირობებში ფირმებს არაკეთილსინდისიერი ქცევით რეალური შესაძლებლობა აქვთ მიაღწიონ საბაზრო ძალაუფლებას, საკუთარი შემოსავლების გადიდების მიზნით, შელახონ და ზიანი მიაყენონ მომხმარებელთა ინტერესებს, მათ სოციალურ დაცულობას.

თეორიიდან ცნობილია, რომ სრულყოფილ კონკურენციას, მიუხედავად მისი ბევრი დადებითი მომენტებისა აქვს ერთი “ნაკლი” – კონკურენციის განვითარებას ლოგიკურად მივყავართ მონოპოლიების წარმოშობამდე და სრულყოფილი კონკურენციის ბაზარს თანდათან არასრულყოფილი კონკურენცია და მისი კონკურენტული გამოვლინება – მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარი ცვლის, კონკურენცია და მონოპოლია თანაარსებობას იწყებენ. აქედან მოყოლებული,

¹ Третьяк В. Один из показателей проявления рыночной власти Фирмы. сб.: «Ключевые вопросы мезоэкономики». М., 2004, стр. 62.

² ჯ. ბეინი, ამერიკელი ეკონომისტი; ა. ლერნერი, ინგლისელი ეკონომისტი

საშიშროება ექმნება ეკონომიკურ დემოკრატიას, რაც თავის მხრივ პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. ეს საშიშროება თავის დროზე სწორად იქნა აღქმული და შეფასებული განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში და შედეგად XIX საუკუნის დასასრულს შემოღებული იქნა სპეციალური ანტიტრესტული კანონები – ეკონომიკის მონოპოლიზაციის წინააღმდეგ მიმართული **ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა**.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონოპოლიების განვითარებას გააჩნია როგორც პოზიტიური (დადებითი), ისე ნეგატიური (უარყოფითი) შედეგები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მონოპოლიები ხელს უწყობენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ტექნიკური და ფუნდამენტალური გამოკვლევების განხორციელებას თავიანთი უდიდესი ფინანსური შესაძლებლობების გამო. ასევე, არც თუ ისე იშვიათად წარმოების ხარჯების შემცირების ხარჯზე მიმართავენ პროდუქციის გაიაფების პრაქტიკასაც, რაც წვრილ წარმოებას ყოველთვის არ შეუძლია. ამასთან ერთად, მონოპოლიებს შეუძლიათ და აქვთ მიდრეკილება განახორციელონ ფასების მონოპოლიური ზრდა, ე.წ. ფასისმიერი დისკრიმინაციის ხარჯზე, კონკურენციის შეზღუდვა, ხელი შეუწყონ შემოსავლების არათანაბარ განაწილებას, საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას და სხვა. ამიტომაც, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრისა და კონკურენციის დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამ მიზნით სახელმწიფო ახორციელებს მონოპოლიების საქმიანობის კონტროლს და რეგულირებას ანუ ახორციელებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას. **ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში უმთავრესად უნდა ვიგულისხმოთ არა მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ კონკურენციის ყოველმხრივი დაცვა და განვითარება, რითაც სახელმწიფო იცავს საბაზრო მექანიზმს, საბაზრო ურთიერთობებს.**

აღნიშნული პრობლემის აქტუალობაზე ისიც მიუთითებს, რომ 2014 წელს ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა ფრანგ ეკონომისტს ჟან ტიროლს, გამოკვლევებისათვის საბაზრო ძალაუფლებისა და რეგულირების სფეროში.

ისტორიულად, ქვეყანა, სადაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები კანონმდებლობით განმტკიცებულიყო თავისუფალი კონკურენ-

ციის დაცვა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. 1888 წელს სენატორმა ჯონ შერმანმა სენატში შეიტანა პირველი ანტიტრესტული კანონპროექტი. 1890 წელს, გაზაფხულზე პრეზიდენტმა ჰარისონმა კანონს ხელი მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი 100-ზე მეტი წლის წინათ იქნა მიღებული, იგი დღემდე რჩება აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ბაზად.

საინტერესოა კანონის I განყოფილება, რომლის თანახმად კონკურენციის შეზღუდვის ნებისმიერი პრაქტიკა ბაზარზე აკრძალულია. ჯარიმის თანხა პერიოდულად იზრდებოდა. 50000 დოლარიდან იგი გაზარდა 1მლნ დოლარამდე 1974 წელს და 10მლნ დოლარამდე 1992 წლისათვის.

II განყოფილებაში ფირმების ანტიკონკურენტული საქმიანობა მიჩნეულია სისხლის სამართლის დანაშაულად და ითვალისწინებს 3 წლამდე პატიმრობას; 1მლნ ჯარიმას კომპანიისთვის ან 100 ათას დოლარს კერძო პირისათვის და კომპანიის ლიკვიდაციას.

1914 წელს მიღებული იქნა **კლეიტონის კანონის** ანტიტრესტული კანონი. ამ კანონმა აკრძალა ფირმების შერწყმა კონკურენციის საზიანოდ. 1976 წელს კანონი კიდევ უფრო გამკაცრდა: ფირმების შერწყმა შესაბამის ორგანოებში განაცხადი სათანადო დასაბუთებით უნდა წარედგინათ 30 დღით ადრე.

1936 წელს მიღებული იქნა **რობინსონ პეტმანის კანონი**, რომელმაც აკრძალა ფასისმიერი დისკრიმინაცია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაანესა მძარცველური ფასების დაწესების გამო.

1950 წელს კლეიტონის კანონში შეტანილი იქნა **სელერ-კეფოვერის შესწორება-დამატება**, რითაც დაზუსტდა არაკანონიერი შერწყმა-შეერთების ცნება. კერძოდ აიკრძალა შერწყმა-შეერთება აქტივების შესყიდვით გზით. თუ კლეიტონის კანონით აკრძალული იყო მსხვილი ფირმების ჰორიზონტალური შერწყმა-შეერთება ახალი შესწორებით იზღუდებოდა ვერტიკალური შერწყმა-შეერთებაც (მაგალითად, წარმოება-გასაღება).

აშშ-ის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფაც. (ხარისხი, სტანდარტები, ვარგისიანობის გარანტიები, გამოყენების ინსტრუქციები და სხვა). აქ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ატარებენ: 1. ფედერალური და ადგილობრივი სასამართლოები; 2. იუსტიციის სამინისტროს ანტი-

ტრესტული განყოფილება; 3. ფედერალური საავტორო კომისია.

გერმანიაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ორგანოებია: ეკონომიკის სამინისტრო (საერთო ხელმძღვანელობა), კარტელების ფედერალური ორგანო (იხილავს კონკრეტულ საქმეებს), ანტიმონოპოლიური კომიტეტი (ექსპერტების კომიტეტი, რომელიც იძლევა რჩევებს კონკურენტული პოლიტიკის დარგში და ფუნქციონირებს როგორც საკონსულტაციო ორგანო). აქ კონტროლს ექვემდებარება: საწარმოს მთლიანი აქტივების შეძენა; ფირმის აქციების 25,50 და მეტი პროცენტის შეძენა; ყველა გარიგება, რომლითაც ფირმა თავის საწარმოებზე პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის შესაძლებლობას იძენს.

რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლის თანახმად ფირმა ან ფირმათა ჯგუფი შეიძლება მიჩნეული იქნეს დომინირებულად ბაზარზე შეადგენს: 1 ფირმისთვის ბაზრის $1/3=35\%$; 3 ფირმისათვის – არანაკლებ 50% ; 5 ფირმისათვის – არანაკლებ $2/3=65\%$.

დიდ ბრიტანეთში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მარეგულირებელი ორგანოა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, შერწყმისა და მონოპოლიების კომიტეტი (საკონსულტაციო ორგანო); თავისუფალი ვაჭრობის კომიტეტი (ზედამხედველობს კონკურენტული პოლიტიკის გატარებას, აწარმოებს წინასწარ გამოძიებას). ფირმის დომინირებულად მიჩნევის კრიტერიუმია ბაზრის 25% -ის მოცვა. ანტიკონკურენტული საქმეების განხილვისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული ღონისძიების გავლენა ქვეყნის საგადასხდლო ბალანსზე და მოსახლეობის დასაქმებაზე.

იტალიაში ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებს სპეციალური კონკურენტციის კომისია, რომელიც იხილავს და იძიებს შეძენის, შერწყმის, დაფუძნების საქმეებს, როგორც ფირმების, ასევე მათი ფილიალების მიხედვით. ჯარიმები მერყეობს წლიური ბრუნვის 1-დან 10% -მდე სხვადასხვა დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში.

იაპონიაში ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ატარებს თავისუფალი ვაჭრობის კომისია და მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. იაპონელებს აქვთ საინტერესო მექანიზმი: გადანყვეტილების მიღებამდე აწარმოებენ არაფორმალურ შეხვედრებს, საუბრებს, კონსულტაციებს და შემდეგ იღებენ შერწყმის, გაერთიანების თუ სხვა სახის გადანყვეტილებს.

დომინირებული შერწყმა ნებადართულია: დარგის კრიზისის შემთხვევაში, ქვეყნის საექსპორტო დავალებების შესრულების მიზნით, ეროვნული ვალუტის კურსის შესაწარმუნებლად და დასაქმების ინტერესებიდან გამომდინარე.

საფრანგეთში მთავრობის გადანყვეტილებით ნებადართულია დარგში 1-2 მსხვილი საწარმოს არსებობა, რომელსაც ევალება მიმწოდებელი და მომხმარებელი საშუალო და მცირე საწარმოების დაცვა. ასეთ ძლიერ ფირმებს უწოდებენ ეროვნულ ლიდერებს, რომლებიც ბაზრების ექსპერტებსაც წარმოადგენენ. სახელმწიფო ახორციელებს გარკვეულ დახმარებებს, თუ ფირმები ახორციელებენ: სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოებს, უშვებენ საექსპორტო პროდუქციას, ახდენენ კადრების მომზადებას, ახორციელებენ კერძო ფირმებიდან საქონლის შეძენას და სხვა ღონისძიებებს. კონკურენტული რეგულირების ორგანოებია კონკურენტციის კომისია და ეკონომიკის სამინისტრო, რომლებიც შერწყმა-შეერთების კონტროლით არის დაკავებული.

საქართველოში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობას საფუძველი ჩაეყარა 1992-1996 წლებში, როცა შეექმნა რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა მონოპოლიების საქმიანობას კონკურენტციის დაცვის მიზნით. შემდგომში, 1999 წლის 25 ივნისს პარლამენტმა მიიღო კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენტციის შესახებ”. ამ კანონით განსაზღვრა მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახეები, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვია სხვა ეკონომიკური აგენტის ან მომხმარებლის ინტერესების შელახვა, მათ შორის: ა) წარმოების მოცულობის შემცირება ან შეწყვეტა დეფიციტის შექმნის ან შემცირების ან ფასებზე ზემოქმედების მიზნით; ბ) სხვა ეკონომიკური აგენტების ბაზარზე შესვლის ან ბაზრიდან გამოსვლის ხელშემშლელი პირობების შექმნა; გ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტისთვის დისკრიმინაციული პირობების შექმნა; დ) მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესება და სხვა.

დადგინდა ჯარიმები და სანქციები, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც. კანონით არ იყო გათვალისწინებული ზღვრული ოდენობა ფირმის მონოპოლისტად ჩათვლის მიმართულებით (ტრადიციულად ასეთ ზღვრულ კრიტერიუმად ბევრ ქვეყანაში მიჩნეულია ერთი ფირმისათვის 33% -ზე მეტი

ბაზრის საერთო მოცულობაში, 50% – ორი ფირმისათვის, 67% - 3 ფირმისათვის). ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის სამინისტროსთან. 2004-2012 წლებში, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და რეფორმების ლოზუნგით გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც არაეფექტიანი და არაპრაგმატული ანალიტიკური საქმიანობით იყო დაკავებული. მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო ახალი ხელისუფლების მიერ “კონკურენციის შესახებ” მიღებული კანონის რეალური ამოქმედებით (2014 წლის 21 მარტი) კანონში ზუსტადაა განსაზღვრული ის პრინციპები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლობიერი შეზღუდვისაგან დაცვას და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას. კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების მიზნით შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. განისაზღვრა საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლური, დომინირებული მდგომარეობის კრიტერიუმები, ეკონომიკური სანქციები და ა.შ. მაგრამ, როგორც სამომხმარებლო, დარგობრივ ბაზრებზე არსებული მდგომარეობა აჩვენებს (ფასების დონე, საბაზრო კონცენტრაცია, მონოპოლიური ძალაუფლება და სხვა), ანტიმონოპოლიური რეგულირება ჯერ კიდევ შორსაა სასურველობისაგან, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

გავაანალიზოთ კონკრეტული მაგალითი, ქვეყნის ფარმაცევტული ბაზარი, რომლის მიმართაც საბაზრო მონოპოლოზმის თაობაზე კრიტიკული შენიშვნები არ ცხრება, რეაგირება კი სრულიად არასაკმარისია.

2015 წლის იმპორტის მონაცემებზე დაყრდნობით ფარმაცევტული დარგობრივი ბაზრის დაახლოებით 70 პროცენტი (179 მლნ აშშ დოლარი) 5 ძირითად კომპანიაზე მოდის. მათ შორის შპს “პსპ ფარმა” – 22,32%, (58 მლნ აშშ დოლარი); შპს “ეი-ბი-სი ფარმაცია” – 14,91%, (39 მლნ აშშ დოლარი); შპს “ავერსი ფარმა” – 14,54%, (38 მლნ აშშ დოლარი); სს “ჯი-პი-სი” – 10,2%, (26 მლნ. აშშ დოლარი); შპს “გლობალფარმა” – 7,02%, (18 მლნ აშშ დოლარი). ბაზრის დანარჩენი მოთამაშეები მცირე კომპანიებია, მათი ხვედრითი წილი ცალ-ცალკე 3 პროცენტს არ აღემატება, ერთობლივად კი 30 პროცენტს ოდნავ აჭარბებს და აქედან გამომდინარე, საბაზრო კონ-

ცენტრაციაზე და ძალაუფლებაზე გავლენას ვერ ახდენენ. ისინი აუტსაიდერი და ფასების მიმღები ფირმები არიან. 2015 წლისათვის ფარმაცევტული ბაზარი იმპორტის მონაცემებზე დაყრდნობით დაახლოებით 257 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის საბაზრო კონცენტრაციის დონის განსაზღვრისათვის დავეყრდნობით ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდს და ბაზრის ძირითადი მოთამაშეების (1. შპს “პსპ ფარმა”, 2. შპს “ეი-ბი-სი ფარმაცია”, 3. შპს “ავერსი-ფარმა”, 4. სს “ჯი-პი-სი”, 5. შპს “გლობალფარმა”) საბაზრო გაყიდვების მონაცემების შესაბამისი ინდექსი (HHI) იქნება.

$$HHI=22,322+14,912+14,542+10,202+7,022=498,18+222,30+211,40+104,40+49,28=1085,60$$

გამოდის, რომ საბაზრო კონცენტრაციის დონე ფარმაცევტულ ბაზარზე 2015 წლის მონაცემებით 1085,60 პუნქტს შეადგენს, $HHI=1085,60$.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, როცა HHI-ის ინდექსი 1000-1800 ინტერვალშია ზომიერად კონცენტრირებულ, ოლიგოპოლიურ ბაზართან გვაქვს საქმე და აშშ-ის მაკონტროლებელ-მარეგულირებელი ორგანოები განსაკუთრებულ პროტესტს არ გამოთქვამენ, მაგრამ თუ 2 ფირმის შერწყმა შეერთების შედეგად ინდექსი 100 პუნქტით გაიზარდა, მაშინ მარეგულირებელი ორგანოები არა თუ აპროტესტებენ ასეთ შერწყმას, არამედ ითხოვენ დეტალურ ინფორმაციას და აანალიზებენ მოსალოდნელ შედეგებს ფასების დონის ცვლილებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია სს “ჯი-პი-სი”-სა და შპს “ეი-ბი-სი ფარმაციის” (იგივე “ფარმა-დეპო”) გაერთიანების შესახებ, რის შედეგადაც, ეს ორი ფირმა გააკონტროლებს დარგობრივი ბაზრის 25%-ზე მეტს ($14,91\%+10,20\%=25,11\%$).

ახლა ვნახოთ ასეთ შემთხვევაში რა სიდიდით ჩამოყალიბდება საბაზრო კონცენტრაციის დონე:

$$HHI=22,322+14,542+25,112+7,022=498,18+211,40+630,51+49,02=1389,11$$

$$\text{ანუ } HHI=1389,11$$

გაირკვა, რომ 2 ფირმის შერწყმა-შეერთების შედეგად საბაზრო კონცენტრაციის დონე მთელი 303,55 პუნქტით გაიზარდა ($1389,11-1085,60=303,55$), რაც 3-ჯერ აჭარბებს კონცენტრაციის დონის ნამატს. ასეთ სიტუაციას აშშ-ში და სხვა ქვეყნებში ანტი-

მონოპოლიური და მარეგულირებელი ორგანოები დაუშვებლად მიიჩნევენ.

სულ მარტივადაც რომ ვიანგარიშოთ კონცენტრაციის კოეფიციენტი 5 ძირითადი ფირმის მიხედვით 2015 წლის მონაცემებით 69 პროცენტს (დაახლოებით 70%) შეადგენდა (შპს “პსპ ფარმა” – 22,32% + შპს “ეი ბი სი” – 14,91% + შპს “ავერსი ფარმა” – 14,54% + სს “ჯი პი სი” – 10,20% + შპს “გლობალფარმა – 7,02% □ 69,0%).

ახლა მოვიშველიოთ საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ (2016წ.). კანონით განსაზღვრულია, რომ “ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან... იმავდროულად. 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წელი 50 პროცენტს აღემატება” (იხ. კანონის მუხლი 3, ქვემუხლები: ი); ა). ახლა ვნახოთ რა წილს ფლობს 2015 წლის მონაცემებით ფარმაცევტული ბაზრის ძირითადი მოთამაშეები შერწყმა-შეერთების შემდეგ: პსპ “ფარმა-22,32% + “ეი ბი სი ფარმაცია” (“ფარმა დეპო”) გაერთიანებული “ჯი პი სის-თან – 25,11% + “ავერსი ფარმა” – 14,54% = 62,0%, რაც არა მარტო საერთაშორისო სტანდარტებით, არამედ საქართველოს კანონითაც “კონკურენციის” შესახებ მიესადაგება დომინირებული ფირმების არსებობას კლასიკურ ოლიგოპოლიურ ბაზარზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, დაზუსტებას მოითხოვს ანტიმონოპოლიური სააგენტოს განცხადება, რომ – “დღეს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არცერთ კომპანიას არ აქვს, რადგან ფარმაცევტული ბაზარი 3 მსხვილი და ასეულობით მცირე ზომის კომპანიით არის წარმოდგენილი”.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიური რომაა დომინირებული ფირმებით იმითაც დასტურდება, რომ ისინი სააფთიაქო ქსელთან ერთად ფლობენ ფარმაცევტულ ქარხნებს, კლინიკებს სადაზღვევო დაწესებულებებს, ახორციელებენ ვერტიკალურ ინტეგრაციას.

ასევე დაზუსტებას მოითხოვს გამოთქმული მოსაზრება თითქოს ფარმაცევტული ბაზარი ჩვენთან სუსტ ოლიგოპოლიას წარმოადგენს (იხ. ნუცა თოხაძე, ფარმაცევტული

ბაზარი საქართველოში. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. თბ., 2016). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოკვლევა მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა, შექებას იმსახურებს და მისასაღებელია.

ცნობილია, რომ ოლიგოპოლიურ ბაზარს გააჩნია როგორც მონოპოლისტური კონკურენციის ბაზრის, ის, მონოპოლიური ბაზრის ნიშანები. ისიც ცნობილია, რომ დღევანდელ პირობებში კლასიკურად გაგებული მონოპოლიური და მონოპსონური ბაზარიც აღარ არსებობს (ერთი გამყიდველი, ერთი მყიდველი). საშიშროება მაშინ იქმნება, როცა ოლიგოპოლიური ბაზარი მონოპოლიური ბაზრისაკენ მიექანება მონოპოლიის სულ უფრო მეტ თვისებებს იძენს, რაც საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიურ ძალაუფლების მაჩვენებლებში გამოიხატება და ფირმების შერწყმა-შეერთებასა (შთანთქმა დღევანდელ პირობებში თითქმის გამორიცხულია), ფარულ კარტელში და ბაზარზე სტაბილურად მაღალი ფასებით ვლინდება.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, ისე როგორც სხვა დარგობრივ ბაზარზე (სანვავის ბაზარი, მინერალური წყლების ბაზარი, ფინანსური ბაზარი და სხვა) ნამდვილი კონკურენტული გარემოს შენარჩუნების მიზნით, ჩვენი აზრით მიზანშეწონილია: პირველი, გადაისინჯოს კონკურენციის შესახებ კანონის ის პუნქტები, რომლებიც ფირმების დომინირებულ მდგომარეობას ეხება. კერძოდ, 1 ფირმისათვის ნაცვლად 40 პროცენტისა დაწესდეს 30 პროცენტი, 5 ფირმისათვის ნაცვლად 80 პროცენტისა დაწესდეს 65 პროცენტი (მუხლი 3); მეორე, საჯარიმო სანქციები უნდა გამკაცრდეს. დარღვევის პირველ შემთხვევაში წლიური ბრუნვის 10 პროცენტი, ნაცვლად 5 პროცენტისა, ხოლო მეორე შემთხვევაში 15 პროცენტი, ნაცვლად 10 პროცენტისა (მუხლი 33); მესამე, რეალურად უნდა ამოქმედდეს კონკურენციის სააგენტო. კერძოდ, პერიოდულად გამოავიწყოს საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიური ძალაუფლების მაჩვენებლები, ხოლო ფირმების შერწყმა – შეერთების მიზანშეწონილობა სპეციალურად და დეტალურად გამოიკვლიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. 2014 წლის 21 მარტი, #2159 <http://www.matsne.gov.ge>
2. Вехи экономической мысли. Теория отраслевых рынков, Т.5. С.П. 2003.
3. Тироль Ж. Рынки и рыночная власть: теория организации промышленности. СПб, 2000.
4. Третьяк В. Один из показателей проявления рыночной власти фирмы. Сб.: «Ключевые вопросы мезоэкономики», М., 2004.
5. Шерер Ф.М., Росс Д, Структура отраслевых рынков, М., 1997.
6. თოხაძე ნ. ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თბ., 2016.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიური ძალაუფლების ძირითადი მაჩვენებლები; გადმოცემულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანტიმონოპოლიური რეგულირების ფორმები, მეთოდები და ეკონომიკური ბერკეტები; კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის კონცენტრაციისა და მონოპოლიური ძალაუფლების მაჩვენებლები და გაკეთებულია დასკვნა, რომ იგი წარმოადგენს ოლიგოპოლიურ ბაზარს რამდენიმე დომინირებული ფირმით; კრიტიკულადაა გაანალიზებული საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და შემოთავაზებულია მისი სრულყოფის წინადადებები.

RESUME

The article deals with the key indicators of the market concentration and monopoly power in the market economy; Anti-monopoly regulation forms, methods and economic leverage of the countries with the developed market economy are conveyed; Based on the analysis of specific data and pharmaceutical market concentration and monopoly power indicators in Georgia, it is concluded that it represents an oligopolistic market with few dominant firms; Anti-monopoly legislation of Georgia is critically analyzed and suggestions for improvement are offered.

მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაცია ტურიზმში

მედეა მჭედლიძე ბილოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მოხმარებისა და წარმოების მდგრადი სტრუქტურის მიღწევის უზრუნველსაყოფად ტურიზმის სექტორში აუცილებელია გავაძლიეროთ ეროვნული შესაძლებლობები ეკონომიური პოლიტიკის სფეროებში, როგორცაა დაგეგმვა, ეკონომიური და მარეგულირებელი შეფასება და ინფორმაციის გაცვლა, განათლება და მარკეტინგი. განსაკუთრებულ შემოთავაზებას იწვევს ბიომრავალფეროვნების დაკა რგვის პრობლემა და ეკოსისტემების დეგრადაცია, ისეთების როგორცაა მარჯნის რიფები, მთები, სანაპირო რაიონები და ჭაობები. ტურიზმის მდგრადმა განვითარებამ შეიძლება საბოლოოდ მიგვიყვანოს მთელ ტერიტორიაზე მდგრად განვითარებამდე, და ამავე დროს განხორციელდეს ბუნების დაცვა, კულტურის დაცვა, სოციალური და ეკონომიური განვითარება.

მდგრადი განვითარების დანერგვის პირველადმა მცდელობებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ტურიზმის ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ტურიზმის დარგის განვითარებაში, რომელიც უახლოეს წლებშია მოსალოდნელი, თუ არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები, საბოლოო ჯამში ტურიზმის განვითარება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ამიტომ, სამომავლოდ, სატრანსპორტო და სასტუმროების მომსახურება, საზოგადოებრივი კვება, ნარჩენების გატანა და სტუმართა მომსახურების სხვა სახეები უფრო რენტაბელურად და ეკოლოგიური დასაბუთებით უნდა იქნეს ორგანიზებული, ვიდრე ადრე ხდებოდა.



ამჟამად სასტუმროების წინ დგას ორმაგი ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, მათი ექსპლუატაციის ეკოლოგიური სისუფთავე გაცილებით მეტ მდგრადობას ანიჭებს გარემოს, უფრო მიმზიდველს ხდის მას და უსიამოვნო მოულოდნელობებიც ნაკლებად ემუქრება ადგილობრივ მოსახლეობას.

მეორე მხრივ, ასეთ ექსპლუატაციას შესაძლოა ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობაც: პარტნიორები აქტიურად აცნობენ საზოგადოებას გარემოს რეალურ მდგომარეობას და შესაბამისი დარგების თვითრეგულაციის პირობებს, მხარს უჭერენ მსოფლიოში არსებულ ყველა სასტუმროსა და რესტორანს, რომელიც ნებაყოფლობით ნერგავენ საკუთარ ინიციატივებს.

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად ქმნის სამუშაო ადგილებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა ნებისმიერი სექტორი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი უმუშევრობის დონის მქონე სახელმწიფოს სამრეწველო განვითარებისთვის. სასოფლო ტურიზმს შეუძლია სრულიად ახალი სიცოცხლე შთაბეროს ქვეყნის იმ რეგიონებს, რომლებშიც სხვადასხვა მიზეზთა გამო, მიწათმოქმედებამ ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები. ეკოტურიზმმა სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოუჩინა ცენტრალური ამერიკის, აფრიკისა და ინდოეთის სოფლებს, ხოლო ე.წ. კულტურული ტურიზმი, რომლის მიზანია მსოფლიოს ხალხთა საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული თავისებურებების გაცნობა, ხელს უწყობს ადგილობრივი დარგებისა და შინამრეწველური სარეწების

განვითარებას იქ, სადაც ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ბაზები სამრეწველო წარმოების გასავითარებლად.

სრულიად ნათელია ტურიზმის განვითარების აუცილებლობა. ეჭვსაც კი არ იწვევს ის სიკეთე, რომელიც მას მოაქვს როგორც ცალკეული ინდივიდებისათვის, ისე ზოგიერთი ქვეყნისთვის და მთელი რეგიონისთვისაც კი. არცერ-

თი სახელმწიფო სტრუქტურის ან ტურიზმის სფეროს წარმომადგენელი არ ნავა გარემოს დაცვის აუცილებლობის წინააღმდეგ, ვინაიდან სწორედ გარემოს დაცვაზე დგას მთელი ტურისტული ინდუსტრია. სწორედ ტურისტული ინდუსტრიისა და გარემოს დაცვის ურთიერთშერწყმა არის ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

ცალკეულ ინდუსტრიებს შეუძლიათ იქცნენ თვითრეგულაციის ნიმუშად. ისინი თავად ახორციელებენ დაჭუჭყიანების შესამცირებელ ღონისძიებებს, შეიმუშავენ და განუხრელად იცავენ ნორმატივებს, ახორციელებენ საგანმანათლებლო სამუშაოებს. ანალოგიურად, სამრეწველო ასოციაციებმა უნდა განაგრძონ ქცევის კოდექსებისა და პროგრესული სამრეწველო ნორმატივების შემუშავება, მიღება და დანერგვა, შემოიღონ გარემოს რაციონალური გამოყენების მეთოდები და ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად უზრუნველყონ თავისი წევრების მონარაგება ყველა საჭირო ინფორმაციით.

ამრიგად, მოცემული მდგრადი ტურიზმის მდგომარეობაზე სრულად ტარდება მონაცემების ისეთი გადარჩევა, რომლის დროსაც მონაცემები ისე ლაგდება, რომ შეიძლებოდეს მათი ჩვეული სპეციფიკური ნიშნების მიხედვით დახასიათება.

მოდელი ივალისწინებს ტურისტული სისტემის მდგრადობას ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიურ ასპექტებში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლიც, რამდენადაც მხოლოდ მას შეუძლია შეიმუშაოს ტურიზმის ინდუსტრიის დაგეგმვისათვის აუცილებელი სტრატეგიული საფუძველი. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს საცხოვრებლად ძვირფასი და განსაკუთრებულად მგრძობიარე ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საბაზისო გამოკვლევები და მონიტორინგი, შეაფასოს ინფრასტრუქტურის მოთხოვნილებები და მათგან მიღებული შედეგები. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია გამოავლინოს ნარჩენების ზღვრული ნორმები და დაადგინოს მოთხოვნები ტურისტული ობიექტების პროექტირებასა და განთავსებაზე. შესაძლებლობებიდან გამომდინარე აუცილებელია გარემოზე გავლენის მოხდენისა და ამა თუ იმ რაიონის გამოყენების პოტენციური შესაძლებლობების შესწავლა და მათი მოცულობის განსაზღვრა ტურისტების მიღებისა და განთავსების საქმეში ისე, რომ არ მოხდეს ბუნებრივი ეკოსისტემების ზედმეტად გადატვირთვა.

მდგრადი ტურიზმი	საერო პირობები	
	გარემოს კომპონენტები	გამორჩენის კომპონენტი
ტურიზმის კომპონენტური მდგრადობა	$ D_{max} - D_{unav} \geq 0$	$ B_{max} - B_{min} \geq 0$
	$ D_{unav} \leq D_{real} \leq D_{max} $	$ B_{min} \leq B_{real} \leq B_{max} $
	მინიმალური პირობა	
	გარემოს კომპონენტები	გამორჩენის კომპონენტი
	$ D_{max} - D_{unav} \geq 0$ თუ $ D_{max} > 0$ ი ი $ D_{unav} > 0$	$ B_{max} - B_{min} = 0$ თუ $ B_{max} > 0$ ი ი $ B_{min} > 0$
$ D_{unav} = D_{real} = D_{max} $	$ B_{min} = B_{real} = B_{max} $	
<i>fST</i> ფუნქციაა, რომელიც აღწერს ტურიზმის მდგრადი განვითარების ორივე კომპონენტს	საერო პირობები	
	условия $fST = \{x: x \in [B_{min} , B_{max}]; B_{max} - B_{min} \geq 0\}$	
	მინიმალური პირობა	
$fST = \{x: x = B_{min} ; B_{max} - B_{min} = 0\}$		

ლიტერატურა

1. მ. მჭედლიძე, ВЛИЯНИЕ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ЧЕЛОВЕКА НА БИОСФЕРУ, საერთაშორიასო სამეცნიერო კონფერენცია, „თანამედროვე მეცნიერული პრობლემები“ გორი, საქართველო 2013
2. მ. მჭედლიძე, Определение экономического ущерба от загрязнения окружающей среды при

помощи логистических решений, МЕНЕДЖМЕНТ РОЗВИТКУ СОЦІАЛЬНО-ЕКОНОМІЧНИХ СИСТЕМ У НОВІЙ ЕКОНОМІЦІ МАТЕРІАЛИ Міжнародної науково-практичної конференції (м. Полтава, 14–15 травня 2015 року) Полтава ПУЕТ 2015 Україна.

3. მ. მჭედლიძე. ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემების მართვა მდგრადი განვითარების პირობებში. ჟურნალი მოამბე, #25, 2016 წელი.

მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაცია ტურიზმში

რეზიუმე

მდგრადი განვითარების დანერგვის პირველადმა მცდელობებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ ტურიზმის ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები.

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად ქმნის სამუშაო ადგილებს, ვიდრე ეკონომიკის სხვა ნებისმიერი სექტორი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მაღალი უმუშევრობის დონის მქონე სახელმწიფოს სამრეწველო განვითარებისთვის.

მოცემული მდგრადი ტურიზმის მდგომარეობაზე სრულად ტარდება მონაცემების ისეთი გადარჩევა, რომლის დროსაც მონაცემები ისე ლაგდება, რომ შეიძლებოდეს მათი ჩვეული სპეციფიკური ნიშნების მიხედვით დახასიათება.

THE REALIZATION OF THE PRINCIPLES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN TOURISM

SUMMARY

Initial attempts to implement the sustainable development of tourism should minimize the negative environmental consequences.

The travel and tourism industry is much more easily and quickly create jobs than any other sector of the economy, which is very important for the high level of unemployment in the industrial development. The sustainable tourism in the State of the selection data is held, during which the data is arranged in such a way that it can be specific to their usual signs characterization.

ГЕОПОЛИТИЧЕСКАЯ СХВАТКА В СИРИИ И ТРАЕКТОРИЯ КУРДСКОГО ВОПРОСА

Марина Изория
Доктор социальных наук

Изменения в расстановке сил и летние бои на севере Сирии кажутся наблюдателям совершенно бессвязными. Тем не менее, все принимающие в конфликте стороны настойчиво преследуют свои собственные цели. И хотя все заявляют, что борются против ИГИЛ, Исламское государство просто меняет позиции или отступает в пустынные земли. Истинной целью происходящего является создание Курдистана в ущерб арабам и христианам.

Организация «Исламское государство» создана на территории Ирака Джоном Негропonte, а затем его дело было продолжено генералом Дэвидом Петреусом, который до сих пор его контролирует. А командовать этим союзом Братьев-мусульман, Нашбанди и суннитскими племенами из сирийско-иракской пустыни последний поручил Турции.

Поэтому во время взятия Джалаблу у ИГИЛ турецкими войсками джихадисты отступили без боя, подчинившись своему турецкому повелителю. После боёв за Айн аль-Араб (Кобани) ИГИЛ согласился с созданием Курдистана, но только не к востоку от Евфрата. Американский президент Вудро Вильсон во время Первой мировой войны обозначил своими целями создание Армении, Израиля и Курдистана. По завершении конфликта для оценки ситуации он создал комиссию Кинга–Крэйна. Последняя указала:

«Курды требуют очень большую территорию на местах их проживания, однако они перемешаны с армянами, турками и другими народами и разделены между собою на кызылбашей, шиитов и суннитов, поэтому предпочтительно ограничить их в естественной географической зоне, простирающейся с севера на юг от Армении до Месопотамии, и с запада на восток от Месопотамской низменности между Тигром и Евфратом до границы с Персией... Большинство турок и армян, которых не так много, можно выселить по добровольному обмену населением и получить таким образом провинцию с населением около полутора миллионов человек, преимущественно курдов. Безопасность халдеев, несторийцев и сирийских

христиан, проживающих в регионе, должна быть гарантирована».

Как бы то ни было, но Курдистан был создан на бумаге Севрской конференцией (1920 г.), но благодаря турецкому восстанию, возглавляемому Мустафой Кемалем, он так и не увидел свет, и США отказались от его создания при заключении Лозаннского мирного договора (1923 г.) президент Вильсон намеревался создать Курдистан на территории Турции и части иракского Курдистана. А Сирия к этому проекту не имеет никакого отношения.

Во время гражданской войны в Турции Хафез аль-Ассад, руководствуясь предложениями президента Вильсона, оказал РКК (Рабочая партия Курдистана) поддержку. Он предоставил политическое убежище лидеру РКК Абдулле Оджалану, который письменно отказался от притязаний на сирийскую территорию. По данным переписи населения в 1962 г. в Сирии насчитывалось 162 000 курдов, один миллион турецких курдов скрывались на территории Сирии и они были признаны политическими беженцами. Сегодня их насчитывается два миллиона и с 2011 г. они все имеют сирийское гражданство. В самом начале войны они встали с оружием на защиту Сирии против исламских наёмников, и Дамаск оплачивал их.

Но США изменили свою политику и пообещали курдским лидерам в Ираке, Турции и Сирии скроить для них на территории Сирии государство, если они повернутся против Дамаска. Некоторые с этим согласились.

В начале 2014 г. команда Дэвида Петреуса запланировала расширение ИГИЛ и его вторжение в аль-Анбар (Ирак), одновременно позволив Курдской региональной администрации захватить нефтяные поля Киркука. Что и было осуществлено, при этом никакого осуждения со стороны международной общественности не последовало - весь мир, кроме преступлений, совершаемых ИГИЛ, ничего не видел.

В конфликте в Сирии погибло уже более 300 тысяч человек, миллионы стали беженцами, в страну хлынули террористические группировки, которые фактически не подконтрольны ни одной

стороне в конфликте. В этих условиях хаоса и разрухи курдское меньшинство Сирии получило реальный шанс добиться широкой автономии и организовать свой независимый анклав. Даже беглый взгляд на политические достижения курдов за последнее время дает возможность сказать, что сирийская эпопея на данном этапе сделала курдов более сильными и независимыми. Несомненно, добиться таких результатов можно только имея соответствующие политические, общественные и военные организации.

Партийную жизнь курдов Сирии невозможно осмыслить без среза общекурдского политического движения в целом в регионе. Оно представлено двумя противостоящими партиями: Демократической партией Курдистана (ДПК) во главе с президентом Курдской Иракской Автономии Масудом Барзани и Рабочей Партией Курдистана (РПК) в Турции, лидером которой является Абдулла Оджалан. Партии представляют две модели достижения автономии и признания права курдов на существование.

Иракские курды сумели использовать исторический шанс, когда 5 апреля 1991 года резолюция ООН №688. осудила репрессии центрального правительства Ирака против гражданского населения страны, и особенно курдов. Это повлекло за собой введение войск США, Франции и Великобритании в курдские районы, в результате возникла курдская автономная область, которая сегодня фактически независима от центрального иракского правительства и являет пример осуществления курдской мечты. Во главе освободительного процесса стоял Масуд Барзани и его партия. РПК же избрала путь вооруженного противостояния с турецким правительством, что на протяжении более 30 лет является головной болью для официальной Анкары. В марте 2013 года пребывающий в турецкой тюрьме лидер РПК Оджалан призвал свою партию пойти на перемирие с турецким правительством, однако мирный процесс идет вяло, и есть возможность полного срыва достигнутых между сторонами договоренностей. Влияние представленных партий распространяется на другие курдские территории, в том числе, сирийские, где партии имеют свои аффилированные структуры, специальные тренировочные базы и сторонников. Более того, раскол в региональной партийном курдском движении отражается и на разобщенности сирийский курдских партий.

Партийная жизнь Сирийского Курдистана представлена двумя крупнейшими образованиями: Партией демократического союза (PYD) и Курдским национальным советом (KNC). Когда в Сирии началась гражданская война, партии курдов не поддержали оппозицию, хотя могли тем самым отомстить клану Асадов за многолетнее притеснение. Еще до прихода к власти в Сирии партии БААС в 1963 году отношения сирийского государства и курдов были натянутыми. В 1958 году вышел закон, запрещающий публиковать материалы на курдском языке. В 1962 году около 300 тысяч курдов были лишены гражданства, не имели элементарных человеческих прав. В 2004 году столкновения футбольных фанатов курдской и арабской команд вылились в массовые курдские демонстрации протеста в городе Камышлы, которые были жестоко подавлены правительственными войсками. Ежегодно в день 12 марта сирийские курды вспоминают своих павших братьев. В первой половине 2011 года группа из девяти курдских партий, которые впоследствии сформировали Курдский национальный совет (KNC), принимала участие в создании Сирийского национального совета (SNC). Однако националистические настроения оппозиции и ее несогласие с идеей автономии для курдов стали для курдских партий ключевым предлогом покинуть SNC в конце 2011 года. С этого момента сирийские партии окончательно взяли курс на невмешательство в гражданское противостояние в Сирии и пошли по пути формирования курдской сирийской автономии.

Июль 2012 года стал знаковым моментом сирийской гражданской войны и сирийского курдского анклава: оппозиция провела наступление на Дамаск, 17 июля террорист-смертник подорвал руководителей крупнейших силовых ведомств, составляющих ближайшее окружение Башара Асада. Военные действия впервые достигли и распространились на столицу. Это заставило сирийский режим перебросить войска, в том числе и из сирийского курдского анклава в район активных боевых действий, фактически предоставив курдам свободу действий на своих территориях. Политический и военный вакуум был без промедления заполнен PYD, которая сумела взять под свой контроль практически все сирийские курдские земли. KNC фактически осталась не у дел, предпочла сохранить структурную и политическую независимость от партии-конкурентки.

Две ведущие партии Сирийского Курдистана в целом имеют одну цель – установить конституционно признанную широкую автономию для курдов после окончания гражданской войны в Сирии. Однако, в силу ряда политических, геополитических и идейных причин партии находятся в противостоянии, что может резко негативно отразиться на общем деле создания курдского независимого анклава в Сирии.

Партия демократического союза (PYD) была создана в 2003 году и считается крылом Рабочей партии Курдистана в Сирии, хотя лидеры партии отрицают данную связь. Как заявлено в программе партии, ее деятельность направлена на «решение курдского вопроса в Сирии на основании демократизации Сирии и права курдов на самоопределение и самоуправление». Цели партии заключаются в «официальном признании в конституции Сирии существования курдов как отдельной национальной общности; поддержке демократической освободительной борьбы во всех частях Курдистана; организации курдского сообщества в Западном Курдистане на основе демократической конфедерации». Важно отметить, что конфликт в полиэтнической Сирии воспринимается партией как «кризис самого режима в его социально-политическом и экономическом выражении, основанном на идее проекта нации-государства». Пути урегулирования кризиса в Сирии видятся партии только через призму решения курдского вопроса, причем, решение для PYD не заключается только в даровании курдам базовых прав и свобод или только в общей демократизации режима. Процесс решения курдского вопроса, который, по мнению идеологов партии, потянет за собой и решение всего сирийского конфликта, увязывается с формированием демократического самоуправления, построенного на сильных экономических, политических и социальных институтах. Для этого PYD разработала проект «Демократического самоуправления в Западном Курдистане», который включает десять принципов. В общих чертах, разработанные партией принципы призывают к построению полиэтнического секулярного общества в пределах Сирии, отказывающегося от выделения арабов как ведущей государствообразующей общности, основанного на понятии гражданства. Предполагается, что разработанные принципы должны лечь в основу будущей конституции Сирии.

PYD имеет жесткую централизованную структуру, что позволяет ей своевременно и эффективно реагировать на происходящие изменения. Верховным партийным органом является Конгресс, который созывается раз в четыре года и обладает полномочиями выбирать главу партии, вносить поправки в партийную программу и правила функционирования партии, а также менять стратегию и цели партии. В период между заседаниями Конгресса для рассмотрения важных вопросов, которые не могут быть отложены до очередного Конгресса, созывается Конференция партии, которая имеет те же полномочия, что и верховный орган PYD, кроме внесения поправок в программу и смены политического курса. В период между двумя Конференциями политический, идеологический и организационный функционал осуществляет Совет партии. Цель Совета: способствовать установлению демократической конфедерации, поддерживать демократические партии и общественные институты в других частях Курдистана, способствовать развитию прессы, работать над созданием финансовой системы партии. Постоянным рабочим органом PYD является Исполнительный комитет, который следит за всей деятельностью партии и выполнением принятых решений.

Партию возглавляют два Сопредседателя - мужчина и женщина, что стало отражением возросшей роли женщин в сирийском курдском обществе. Это Салих Муслим, который начинал свою освободительную деятельность в Демократической партии Курдистана Масуда Барзани, но, разочаровавшись в способности ДПК что-то изменить в положении сирийских курдов, вышел из нее в 1998 году, и Асия Абдулла, которая была избрана на высокий пост на пятом съезде партии в июле 2012 года. Лидеры выбираются Конгрессом, регулируют всю деятельность партии, ответственны перед Конгрессом и Советом PYD.

Жесткая структура партии, наличие сформированной политической программы, налаженное взаимодействие между партийными членами позволили PYD после ухода в июле 2012 года сирийских войск из курдских регионов заполнить политический, общественный и военный вакуум. Под руководством партии стали создаваться общественные и административные структуры, полицейские участки, следящие за общественным порядком, школы и больницы, организации, предоставляющие необходимые

услуги. Это значительно расширило социальную базу партии, оформило широкую поддержку в курдском обществе.

Курдский национальный совет (КНС) был создан в октябре 2011 года в Эрбиле под патронажем лидера Демократической партии Курдистана (ДПК) и президента Курдской автономии в Ираке Масуда Барзани. КНС представляет из себя зонтичную организацию и объединяет 15 крупных курдских партий, среди которых ведущими являются Демократическая Партия Курдистана в Сирии, которая является отделением ДПК Барзани в Сирии, партия ЕКИТИ и партия АЗАДИ. На конференции 26 октября 2011 года, провозгласившей создание партии, была разработана политическая программа, которая не имеет принципиальных отличий от предложений PYD: курдское меньшинство признается историческим народом Сирии, которое претендует на самоопределение и равные с арабами права в пределах Сирии. Курдское достижение автономии предлагается закрепить в будущей государственной конституции. Структура партии размыта и отличается децентрализацией: Генеральная Ассамблея партии состоит из 26 членов – 15 от каждой входящей в состав партии и 11 независимых представителей. Полномочия Генеральной Ассамблеи фактически не определены, что делает структуру аморфной и слабой, заставляет опираться на решение отдельных личностей, а не сформированных институтов. Во главе Генеральной Ассамблеи стоит лидер Демократической партии Курдистана в Сирии Абдул Хаким Башар.

Анкара не приемлет сирийский Курдистан в виде тыловой базы РКК с её дальнейшим распространением на территорию Турции. Анкара поддерживает превосходные отношения с региональным правительством иракского Курдистана и у неё нет оснований выступать против создания сирийского Курдистана. Вот почему президент Реджеп Тайип Эрдоган заключил с одним из двух сопредседателей сирийских YPG тайное соглашение о поддержке этого государства. Однако это соглашение утратило смысл из-за репрессий курдов тем же Эрдоганом после их прорыва на парламентских выборах 2015 г.

Около 4,5 миллионов курдов проживают в Иране. В основном, они компактно проживают в одном регионе. И хотя юридически они обладают равными правами, их регион остаётся объектом

разного рода дискриминаций и экономически менее развит, чем области, населённые персами.

Исламская Республика очень ревностно относится к неприкосновенности своих границ, а создание нового государства могло бы спровоцировать сепаратизм других меньшинств, например белуджей. Наконец, Иран, будучи союзником Сирии, не может допустить создания Курдистана на её территории. Региональное правительство иракских курдов с тревогой наблюдает за действиями сирийских курдов. На самом деле, они говорят на разных наречиях (горанийском и курманджи) и во время Второй мировой войны воевали друг с другом. Иракские курды не допускают проникновения на свою территорию сирийских курдов, как и всех тех, кого они подозревают в связях с турецкой РКК.

Президент Иракского Курдистана Масуд Барзани после 2012 г. самовольно остаётся во власти не проводя никаких выборов. Возглавляемый им авторитарный режим коррумпирован, а оппозиция жестоко подавляется. С помощью ИГИЛ он расширил на 40% территорию иракского Курдистана, аннексировав нефтяные поля Киркука, а краденую ИГИЛом нефть он транспортирует по своему нефтепроводу. Захват территории, представленной на нижеприведённой карте штрихами, позволит соединить иракский Курдистан с псевдо-Курдистаном на севере Сирии.

Поддержав ИГИЛ во время боёв за Айн аль-Араб (Кобани), региональное правительство иракских курдов по требованию Вашингтона сблизилось с YPG и оказало ему символическую поддержку. «Президент» Масуд Барзани постоянно твердит о том, что его регион в скором времени провозгласит независимость и аннексирует часть территории Сирии. При этом он категорически против того, чтобы Курдистан возглавил Салех Муслим.

Для обеспечения собственной безопасности Израиль сначала стремился создать демилитаризованные зоны на территории своих соседей – в египетском Синае и Южном Ливане. Однако с развитием техники изготовления реактивных снарядов он отказался от этой идеи и оставил в покое и Синай, и Южный Ливан. Начиная с 1982 г. он придерживается стратегии, суть которой состоит в том, чтобы контролировать с тыла три региональные державы Египет, Сирию и Ирак. Ради этого он стремится создать независимое государство

Южный Судан, а тем временем поддерживает создание Большого Курдистана на территории Сирии и Ирака.

С самого начала холодной войны Израиль поддерживает тесные отношения с кланом Барзани, находящегося сегодня у власти в иракском Курдистане.

Для обеспечения собственной безопасности Израиль сначала стремился создать демилитаризованные зоны на территории своих соседей – в египетском Синае и Южном Ливане. Однако с развитием техники изготовления реактивных снарядов он отказался от этой идеи и оставил в покое и Синай, и Южный Ливан. Начиная с 1982 г. он придерживается стратегии, суть которой состоит в том, чтобы контролировать с тыла три региональные державы Египет, Сирию и Ирак. Ради этого он стремится создать независимое государство Южный Судан, а тем временем поддерживает создание Большого Курдистана на территории Сирии и Ирака.

